

**ილია II:** მრავალი განსაცდელის წინაშე დგას კაცობრიობა, კაცობრიობა თანდათან კარგავს ჭეშმარიტ სარწმუნოებას, საქართველო კი პირიქით, ძლიერდება ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ეკლესიაში. ის წინასწარმეტყველება, რომ საქართველო გაბრწყინდება, ეს პროცესი, ეს ფერიცვალება, ეს გაბრწყინება დაწყებულია. ჩვენ ვმადლობთ უფალს ამ დიდი წყალობისათვის“.


# საქართველოს რესპუბლიკა




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბერთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 20 აგვისტო, 2014 წელი.

№166-167 (7548)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


# რაღა კანიბალი ბოკასა და რაღა სააკაშვილი



*თუ ვინმემ გაუტეხა საქართველოს სახელი უცხოეთში — ეს სააკაშვილია, თავის დაუპატიჟებელი ვიზიტებითა და ქარაფშუტული საქციელით. ასეთი ქარაფშუტა პრეზიდენტის ქვეყანაში, ვინ ჩამოდგამს ფეხს?!* 5

## ირაკლი ლექვინაძე:



თუ გვინდა, რომ ნორმალურად ვითარდებოდეს სახელმწიფო, ეკონომიკა, გადასახადები აუცილებლად უნდა არსებობდეს, უბრალოდ, საუბარია ოპტიმალურ და გონივრულ განაკვეთებზე.

10%-იანი საშემოსავლო გადასახადი იქნებოდა საუკეთესო ამ ეტაპზე ჩვენთვის, თუმცა, მოკლე ვადაში ამის გაკეთება ცოტა სარისკოა 3

## კობა წაქაძე

## მან ოთხ ოლიმპიადაზე „იფრინა“

8
9



# პიჯაკების დაბრუნებას მოპარული მილიონები დაებრუნებინა, სჯობდა!

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ტანსაცმელი მთავრობის ადმინისტრაციას გაუგზავნეს. საუბარია მიხეილ სააკაშვილის იმ ტანსაცმელზე, რომელიც სახელმწიფო ხარჯებით არის ნაყიდი.

მთავრობის ადმინისტრაციას სააკაშვილის გარდერობის ნაწილი კურიერის მეშვეობით გაუგზავნეს.

ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის პრესსამსახურის წარმომადგენელმა ლანა ღვინჯილიამ მთავრობის კანცელარიასთან პატრული გამოიძახა, რადგან მას შემდეგ, რაც კანცელარიის მისაღებში მიხეილ სააკაშვილის მიერ გაგზავნილი პიჯაკები არ ჩაიბარეს, შენობიდან გამოვიდა მამაკაცი, რომელმაც მას შეურაცხყოფა მიაყენა და მიტანილი ნივთები მანქანაში ჩაუყარა.

კანცელარიასთან პატრულის რამდენიმე ეკიპაჟი იმყოფებოდა, ისინი ღვინჯილიას გაესაუბრნენ და განცხადება ჩაიბარეს. როგორც ღვინჯილიამ განაცხადა, ტანსაცმლის მიტანა ყოფილმა პრეზიდენტმა დაავალა და მის უკან წაღებას არ აპირებს.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის კუთვნილი შვიდი პიჯაკი და ერთი პალტო პატრულის თანამშრომლებმა დაკარგული ნივთების ბიუროში გადაიტანეს.

სამართალდამცველებმა ეს ნივთები სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის განვითარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერისგან ლანა ღვინჯილიასგან გადაიბარეს. თავად ლანა ღვინჯილიას თქმით კი, ეს ნივთები მისი არ არის და შესაბამისად, პატრულის განკარგულებაში გადავიდა.

გარდა ამისა, პატრულის თანამშრომლებმა შეადგინეს ოქმი ლანა ღვინჯილიას განცხადების საფუძველზე, რომელიც ეხება მთავრობის ადმინისტრაციის თანამშრომლის მიერ მასზე განხორციელებულ ძალადობას.




## დღის ამფრაზურიდან

## სააკაშვილის შოუ

— უყურეთ ერთი ამ ბრალდებულ და ძებნილ ექს-პრეზიდენტს, თბილისში მეორადი ტანსაცმლის პუნქტებში ძებნილი კოსტიუმები მიიტანა თავისი ბიბლიოთეკიდან მთავრობის კანცელარიასთან და უნდა დაგვაჯეროს, რომ რომში, პარიზსა და ნიუ-იორკში ნაყიდი დააბრუნა.

არა ძმაო, ეს კაცი თაღლითობასა და ვირეშმაკობას არ იშლის და გინდა მოკალი!

ვითომ ჩვენ დაგვცინის, არადა, საკუთარ თავს იგდებს მასხრად ეს მართლაც საერთაშორისო ტაკიმასხარა.

## ილია მეორე: ჩვენში აუცილებლად მოხდება ფერიცვალება, მადლი, რომელიც შეცვლის ჩვენს ფიზიკურ და სულიერ ბუნებას



**საქართველო დაეხმარება სხვა ერებსაც ფერიცვალებაში, — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტრის ფერიცვალების სახელობის ეკლესიაში სადღესასწაულო წირვის შემდეგ განაცხადა.**

ქადაგებისას უწმინდესმა მრევლს ფერიცვალების დღესასწაული მიულოცა და სახარების მიხედვით მის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

**„დღეს ჩვენ ვფიქრობთ იმის შესახებ, როდის მოხდება ფერიცვალება საქართველოში და დაწყებულია თუ არა ეს ფერიცვალება? მრავალი განსაცდელის წინაშე დგას კაცობრიობა, კაცობრიობა თანდათან კარგავს ჭეშმარიტ სარწმუნოებას, საქართველო კი პირიქით, ძლიერდება ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ეკლესიაში. ის წინასწარმეტყველება, რომ საქართველო გაბრწყინდება, ეს პროცესი, ეს ფერიცვალება, ეს გაბრწყინება დაწყებულია. ჩვენ ვმადლობთ უფალს ამ დიდი წყალობისათვის“,** — აღნიშნა უწმინდესმა.

**„ჩვენში აუცილებლად მოხდება ფერიცვალება, მადლი, რომელიც შეცვლის ჩვენს ფიზიკურ და სულიერ ბუნებას. საქართველო დაეხმარება სხვა ერებსაც ამ ფერიცვალებაში. ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ, და ღმერთმა ინებოს წყალობა, მშვიდობა, სიყვარული და სიხარული გაძლიერდეს ჩვენში“,** — ბრძანა უწმინდესმა ქადაგებისას.

პატრიარქმა ასევე აღნიშნა, რომ დაწყებულია თბილისში ყოვლადწმინდა სამების ტაძრის მოხატვა, მან მიმართა საზოგადოებას, ვისაც აქვს საშუალება, დაეხმაროს მხატვრებს.

## მეუფე თეოდორე: ქართველებს მოვუწოდებთ, თავი შეიკავონ „კაზანტიპისგან“

**მეუფე თეოდორეს თქმით, ბოლო პერიოდში ხშირად აცხადებენ, რომ თითქოს ეკლესია გართობისა და ფესტივალების წინააღმდეგია, თუმცა, ეს სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან ეკლესია მხოლოდ გარყვნილების წინააღმდეგ გამოდის.**

**„რამდენიმე დღის წინ ჩამოსული იყვნენ ყირიმიდან სასულიერო პირები და რომ გაიგეს, „კაზანტიპის“ ფესტივალი აქ ტარდება, ძალიან შეწუხდნენ, რადგან მათ კარგად იცოდნენ, თუ რა ხდებოდა ამ ფესტივალის დროს ყირიმში. ჩვენ ქართველებს მოვუწოდებთ, თავი შეიკავონ ამ ფესტივალისგან, რადგან იქ გარყვნილების ქადაგების მეტი არაფერი ხდება“,** — განაცხადა მეუფე თეოდორემ ქადაგებისას.

## ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალური ვიზიტით სომხეთს ეწვევა



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი 21-22 აგვისტოს ოფიციალური ვიზიტით სომხეთს ეწვევა. პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, ორდღიანი ოფიციალური ვიზიტი ზვარტნოცის აეროპორტში ოფიციალური დახვედრის ცერემონიით დაიწყება.**

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ირაკლი ღარიბაშვილის პირისპირ შეხვედრა სომეხ კოლეგასთან, რის შემდეგაც საქართველოს და სომხეთის მთავრობების წარმომადგენლების გაფართოებული შეხვედრა გაიმართება.

შეხვედრის დასრულების შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და სომხეთის პრემიერ-მინისტრი ჰოვიკ აბრაჰამიანი მედიისთვის ერთობლივ განცხადებას გააკეთებენ. დღის ბოლოს საქართველოს პრემიერ-მინისტრს სომეხი კოლეგა ოფიციალურ ვახშამზე უმასპინძლებს.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის პირისპირ შეხვედრა სომხეთის პრეზიდენტ სერჟ სარგსიანთან.

**მასმედია**

# განიხილავს პარლამენტი კანონპროექტს?

## მედიას, შესაძლოა, სახელმწიფო უწყებების უფასო რეკლამირების ვალდებულება დაეკისროს

**ახლო მომავალში, შესაძლოა, მედიასაშუალებებს ამა თუ იმ სახელმწიფო უწყების მიერ გაკეთებული საქმეების შესახებ სარეკლამო რგოლების უფასოდ გაშვება მოუწიოს.**

**ასეთ პერსპექტივაზე მედიის წარმომადგენელთა ნაწილი კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებების შეფასების შემდეგ საუბრობს. მათი განცხადებით, ცვლილებები მედია ორგანიზაციებს ფინანსურად ძალიან დააზარალებს. საუბარია სოციალურ რეკლამასთან დაკავშირებულ ცვლილებებზე კანონებში „მაუწყებლობის შესახებ“, „შესყიდვების შესახებ“ და „რეკლამის შესახებ“.**

შესაბამისი ცვლილებების განხილვა საქართველოს პარლამენტში შემოდგომაზე იგეგმება. კანონპროექტის ინიციატორი იუსტიციის სამინისტროა.

სამინისტროს განმარტებით, კანონპროექტის მიზანი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მაუწყებლების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების შემცირებაა.

მოქმედი კანონმდებლობით, სოციალური რეკლამა საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობისა და საქველმოქმედო მიზნების მიღწევისაკენ მიმართული რეკლამაა, რომელიც კომერციული და წინასაარჩევნო რეკლამა არ არის და არ შეიცავს კერძო სამართლის იურიდიული პირის ან სამთავრობო დაწესებულების, აგრეთვე, მათ მიერ გაწეული მომსახურების რეკლამას.

იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ახალი კანონპროექტის მიხედვით კი, სოციალურ რეკლამად ასევე მიიჩნევა — მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საკითხებზე, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისკენ ან საზოგადოების ქცევის პოზიტიური თვალსაზრისით შეცვლის ხელშეწყობისკენ მიმართული რეკლამა.

პროექტი ტელემაუწყებლების ნაწილს მიუღებლად მიაჩნია. მათი აზრით, იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებულ კანონპროექტში მაუწყებლების ინტერესები გათვალისწინებული არ არის და ტერმინი „სოციალური რეკლამა“ სრულად არაა განმარტებული.

უფრო მეტიც, მაუწყებლებს სოციალური რეკლამის გაშვების ვალდებულება არ უნდა ჰქონდეთ, რადგან ამ შემთხვევაში, სოციალური რეკლამის სტატუსი, შესაძლოა, მიენიჭოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოებულ ნებისმიერ საინფორმაციო კამპანიას, რაც ბოროტად შეიძლება გამოიყენონ სახელმწიფო სტრუქტურებმა.

ჟურნალისტი თამარ ჩიქოვანი For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ძალზე მკაფიოდ უნდა იყოს გარკვეული, თუ რა იგულისხმება ტერმინში „სოციალურ რეკლამა“. ვთქვათ, იგივე ანტინარკოტიკული კამპანია, რასაც ჯანდაცვის სამინისტრო აწარმოებს, სავარაუდოდ, სოციალურ რეკლამად უნდა ჩაითვალოს. თუმცა, თამარ ჩიქოვანი ეჭვობს, რომ სოციალური რეკლამა ბევრი არ იქნება.

**„თუ სოციალურ რეკლამად ჩათვლიან, რომ შს სამინისტრო და პროკურატურა თურმე ყველაზე კარგი პროკურატურა და შს სამინისტროა, რაც კი არსებულა საქართველოს ისტორიაში, ეს, რა თქმა უნდა, ნამდვილი რეკლამაა და ვერანაირად ვერ ჩაითვლება სოციალური რეკლამის კატეგორიაში. სანამ ეს კანონპროექტი მომზადდებოდა, რამდენიმე მაგალითი ვიცი, როცა არასამთავრობო ორგანიზაციებმა კონკრეტულ პრობლემასთან დაკავშირებით სოციალური რეკლამა მოამზადეს და მიიტანეს რამდენიმე ნაციონალურ ტელევიზიაში, თუმცა, მათ უთხრეს, რომ ეს სოციალური რეკლამა სულაც არ იყო და საკმაოდ დიდი ფულის გადახდა მოსთხოვეს. ამიტომ ზუსტად უნდა იყოს გარკვეული დეფინიცია, რა არის სოციალური რეკლამა“,** — აცხადებს თამარ ჩიქოვანი და განმარტავს, რომ სახელმწიფო უწყებების ე.წ. კეთილი საქმეების აფიშირება, რაც არ უნდა შეფუთონ, მაინც პიარი და რეკლამაა და არასოციალური რეკლამა, რომელსაც სულ სხვა დატვირთვა აქვს. შესაბამისად, თუკი ასეთი თითქოს „სოციალური რეკლამები“ მასიურად გადაეცემა ტელევიზიებს, ცხადია, ეს დააზარალებს მაუწყებელთა ბიუჯეტს.

**„მაუწყებლებში სოციალური რეკლამის განთავსება ფასიანი უნდა იყოს“,** — აცხადებს For.ge-სთან საუბარში „მაესტროს“ გენერალური დირექტორი ილია კიკაბიძე და არ მალავს, რომ აღნიშნულ კანონპროექტს გარკვეული ძალადობის ფორმა აქვს. მას უკვირს, რატომ ავალდებულებენ მაუწყებელს, თუნდაც ერთი წამით, უფასოდ რაიმე გააკეთოს?! ამიტომ აღნიშნული ცვლილება თუ შეაქვთ კანონში, მაშინ უმჯობესია, ცვლილება შევიდეს თავად ბიუჯეტში და ბიუჯეტს დაუმატონ სოციალურ თემებზე სარეკლამო განთავსების თანხები.

**„უფასო რეკლამირებას მე რატომ მავალდებულებენ?! ეს ხომ აზარალებს ნებისმიერ კომპანიას, რომელიც რაღაცას აწარმოებს?! გამოდის, მაუწყებლებს თავიანთ ნაწარმს უფასოდ წაართმევენ. ამ შემთხვევაში, ჩვენ ვაწარმოებთ სარეკლამო დროს და ცხადია, კომპანია დაზარალდება. ამა თუ იმ კომერციული არხის ხელმძღვანელობის, მენეჯმენტის და დამფუძნებლის კეთილი ნებაა, თუ ისინი უფასოდ გაუშვებენ სოციალურ რეკლამას. ეს მათზეა დამოკიდებული. მით უმეტეს, როცა ტელეეთერში უკვე გაშვებული რეკლამა მაუწყებლებს რეალიზაციაში ეთვლებათ და ამის გამო ისინი დღგ-ს იხდიან, ანუ უფასოდ გაშვებულ რეკლამაზე მაინც ვიხდით ფულს. აქედან, გამომდინარე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ უბრალოდ არ უნდა განიხილოს ეს საკითხი პარლამენტმა“,** — აცხადებს ილია კიკაბიძე.

მისი თქმით, ეს იქნება არა სოციალური რეკლამა, არამედ ამა თუ იმ უწყების პიარი. ამიტომ ჯანდაცვის სამინისტრო იქნება ეს, სოფლის მეურნეობა თუ პროკურატურა, მან თავად უნდა გადაიხადოს ბიუჯეტიდან ეს თანხები. ხოლო, თუ ამ უწყებებს რაიმე დადებითი ინიციატივა აქვთ, რომლის გაცნობაც საზოგადოებისთვის აუცილებელია, მაშინ გაუშვან ეს რეკლამები პირველ არხზე, საზოგადოებრივ მაუწყებელზე, რომელიც ბიუჯეტიდან ისედაც ფინანსდება.

**„უცხოეთთან დაკავშირებით უამრავი ინფორმაცია მოვიძიე და იქ მხოლოდ საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ტელეკომპანიები, ანუ სახელმწიფო არხები უშვებენ სოციალური ტიპის რეკლამებს“,** — ასეთია ილია კიკაბიძის აზრი.

„საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორი ნათია კუპრაშვილი For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ აღნიშნული კანონპროექტის მეორე მოსმენა სექტემბერში იგეგმება.

**„ამასთან დაკავშირებით ჩვენ და ჩვენმა პარტნიორმა ორგანიზაციებმა, ასევე, რამდენიმე მაუწყებელმა გავაკეთეთ ერთობლივი განცხადება და მოვითხოვეთ განხილვის შეჩერება. თქვენ იცით, მაუწყებლობა გადადის ციფრულზე. ახალი რეგულაციებია საჭირო. ამიტომ უმჯობესი იქნებოდა, კომპლექსური ცვლილებები განხორციელებულიყო და არა ფრაგმენტული. ახლაც არის კანონში ვალდებულება სოციალური რეკლამის განთავსების შესახებ და არსებული რეგულაცია დღემდე კითხვებს იწვევს. ერთადერთი, რაც იცვლება, არის კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, ანუ მარეგულირებლის შემოყვანა რეგულაციაში, რაც დაუშვებელია, რადგან აქამდე თავად მაუწყებელი წყვეტდა, იყო თუ არა რეკლამა სოციალური და შეესაბამებოდა თუ არა სოციალური რეკლამისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. ამიტომ დაუშვებელია მარეგულირებელი კომისიის შემოყვანა. ჩემი აზრით, ამას არც მარეგულირებელში არ მიესალმებიან, უბრალოდ, შეიძლება ამას ღიად არ გამოხატავდნენ. ვფიქრობ, ამ კანონპროექტის განხილვა საერთოდ შეწყდება და ამის შემდეგ ძალიან მალე უნდა განვიხილოთ ახალი კანონი“,** — აცხადებს ნათია კუპრაშვილი.

**მანანა ნოზაძე**

**ნუთუ ეს მართალია?!**

# ფოთის მერს კანონდარღვევებში ადანაშაულებენ!

**როგორც გელა ნიკოლაიშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, ირაკლი კაკულიამ ბიზნესპარტნიორებსა და ოჯახის ახლობლებს, საფრანგეთის მოქალაქეებს ხათუნა დოლბაიასა და მის მეუღლეს მამუკა სოფრომაძეს ბიზნესის წარმოებისათვის თანხის სესხება სთხოვა. ადვოკატის ინფორმაციით, მათ 2009-2011 წლებში კაკულიას ჯამში 200 000 დოლარი ასესხეს. მან ყაზახეთში დააარსა ფირმა „აქტაუ სიბარიტი“ და სოფრომაძეს, როგორც პარტნიორს, სისტემატიურად აწვდიდა ინფორმაციას, რასთან დაკავშირებითაც, ნიკოლაიშვილის ცნობით, მიმოწერა არსებობს. მისივე თქმით, 2012 წლიდან მამუკა სოფრომაძემ ბიზნესის რეალობაში ეჭვი შეიტანა და თანხის დაბრუნება მოითხოვა.**

„შეთანხმებაც ასეთი იყო, რომ დაახლოებით სამი წლის განმავლობაში კაკულიას ფული უნდა დაებრუნებინა. შედგა შეხვედრა, კაკულიამ უთხრა, რომ მოიფიქრებდა. შემდეგ კაკულია თავს არიდება მათთან შეხვედრას. არჩევნების წინ საქართველოში ჩამოვიდა, შევიდა „ქართულ ოცნებაში“, მოახერხა და დასახელდა მერობის კანდიდატად, რის შემდეგაც მათ კატეგორიული უარი განუცხადა. თქვა, რომ მე თქვენი არანაირი ვალი არ მაქვს, ვერაფერს მიზამთ, მყავს. ე.წ. კრიშა, პოლიტიკურად დაცული ვარო“, — აღნიშნა გელა ნიკოლაიშვილმა.

მისივე ინფორმაციით, თანხის სესხების თაობაზე, ოჯახების ახლო კავშირებიდან გამომდინარე რაიმე ხელწერილი, წერილობითი დოკუმენტი არ არსებობს, თუმცა, არსებობს მიმოწერა მათი ურთიერთობის შესახებ.

გელა ნიკოლაიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ იგი 1 აგვისტოს ირაკლი კაკულიას ფოთში შეხვდა, რომელმაც რაიმე ვალის არსებობა კატეგორიულად უარყო, თუმცა, საერთო ბიზნესის არსებობა არ უარუყვია.



გელა ნიკოლაიშვილი

რაც შეეხება კანონდარღვევებს, ადვოკატის განმარტებით, საქართველოს მოქალაქის ირაკლი კაკულიას ყაზახეთში გახსნილ პირად ანგარიშზე, უზარმაზარი თანხების მიმოქცევაა და, შესაძლოა, საუბარი იყოს მილიონობით დოლარზე. მისივე თქმით, აღნიშნული ანგარიშიდან არანაირი თანხა არც ყაზახეთის და არც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტებს არ მიუღია.

ნიკოლაიშვილის განმარტებით, კიდევ ერთი კანონდარღვევა დოკუმენტის გაყალბებას უკავშირდება. საუბარია დოკუმენტის გაყალბებაზე და ამის საფუძველზე მერად კენჭისყრის უფლების მოპოვებაზე.

ადვოკატის თქმით, კაკულიას კანდიდატურის დამტკიცებას პრობლემები შეექმნა, რადგან სადაო იყო ბოლო ორი წლის განმავლობაში ცხოვრობდა თუ არა იგი საქართველოში. როგორც ნიკოლაიშვილი ამბობს, კანდიდატმა წარადგინა ცნობები, რომ იგი მართალია, ყაზახეთში ბიზნესს აწარმოებდა, თუმცა, იქ მივლინებით იმყოფებოდა. კერძოდ, თითქოს იგი ორგანიზაციის დირექტორმა და კაკულიას მეგობარმა ხვიჩა ჩხვიტაიამ ყაზახეთში მივლინებით გააგზავნა, თუმცა, როგორც ადვოკატი ამბობს, არანაირი სამივლინებო ხარჯები, ინფორმაცია საზღვრის გადაკვეთაზე წარმოდგენილი არ ყოფილა.

გელა ნიკოლაიშვილის ცნობით, მზადდება საჩივარი და სამართლებრივი დავა ოფიციალური გზით გაგრძელდება.

№166-167. ოთხშაბათი, 20 აგვისტო, 2014 წელი.

**როგორც იქნა, ორწლიანი შრომის შემდეგ მთავრობამ საგადასახადო ცვლილებებზე მუშაობა დაასრულა და პროექტი განსახილველად გამოიტანა. ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის განცხადებით, „საგადასახადო კოდექსში“ ინიცირებული ცვლილებები ფისკალურად ბიუჯეტს არაფერს დააკლებს.**

**საუბარია ტურისტული საწარმოს საგადასახადო ვალდებულებების მექანიზმის გამარტივებაზე, მცირე მეწარმეთათვის საკონტროლო სალარო-აპარატის გამოყენების წესების დარღვევისთვის 2013 წლის 1 იანვრამდე დაკისრებული, დარიცხული და გადაუხდელი ჯარიმის ჩამოწერასა და 5000 ლარამდე დავალიანების, უზრუნველყოფის გარეშე, ერთი წლით გადავადებაზე, ასევე, 2005 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და დღემდე გადაუხდელი საგადასახადო დავალიანების თანხისა (თუ მას შემდგომ პერიოდში აქტივობები არ უფიქსირდება) და 2009 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაზე დარიცხული ჯარიმა-საურავის ჩამოწერაზე.**

**გარდა ამისა, ბიზნესის დაკრედიტების პროცესის ხელშეწყობის მიმართულებით კანონმდებლობის დახვეწაზე და „საგადასახადო კოდექსში“ ბუნდოვანი მუხლების გასასწორებლად მუშაობის გაგრძელების მიზნით, სუსტი კაპიტალიზაციის მარეგულირებელი ნორმების 2016 წლის 1 იანვრამდე გადავადდა.**



**როგორც ფინანსთა მინისტრი აცხადებს, ეს ცვლილებები ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას, თუმცა, რა რაოდენობის თანხის ჩამოწერაზეა საუბარი, ხადური არ აკონკრეტებს.**

**რამდენად აწესრიგებს აღნიშნული ცვლილებები საგადასახადო გარემოს ქვეყანაში, ამ თემაზე ექსპერტი ირაკლი ლექვინაძე გვესაუბრება.**

# „იდეალური იქნება, თუ საშემოსავლო გადასახადი თანდათანობით 10 პროცენტამდე შემცირდება“

— ეს არის პრინციპული ცვლილებები, რაც უწინარესად, მეწარმეებისათვის საქმიანობის გამარტივებას ნიშნავს, გრძელვადიან პერიოდში აუცილებლად რომ აისახება დასაბეგრი ბაზის გაზრდაზე და შესაბამისად, საბიუჯეტო შემოსავლებზეც. მაგრამ მოკლე პერიოდში თვით მეწარმეებისთვის არის მომგებიანი ორი მიმართულებით. ერთი, რომ დღგ-სგან გათავისუფლდება ორი მნიშვნელოვანი სექტორი, ყველაზე მეტად ამას იგრძნობს საფეიქრო მრეწველობა და სამშენებლო სექტორი, რომელიც ტურიზმის განვითარებისთვის ახორციელებს სხვადასხვა მშენებლობებს.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი შეღავათია გათვალისწინებული იმ კომპანიებისათვის, რომლებსაც ტვირთად აწევთ ძველი დავალიანება. მათი მოცულობა შესაძლოა, ბიუჯეტისთვის ძალიან დიდი არ არის, მაგრამ კომპანიებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მათი ჩამოწერა. საუბარია 2005 წლამდე არსებულ დავალიანებებზე — ზოგი კომპანია აღაც კი ფუნქციონირებდა და პრაქტიკულად, რის გამოც ამ ვალის ამოღება უიმედო იყო და ჯობდა მათი ჩამოწერა.

ასევე მნიშვნელოვანია არსებული საურავების ჩამოწერა 2009 წლამდე არსებულ დავალიანებებზე, რაც ზოგჯერ საკმაოდ მოცულობითი იყო და კომპანიებისთვის ძალზე მძიმე ტვირთის მატარებელი — განსაკუთრებით მცირე ბიზნესისთვის, სალარო აპარატებზე დარიცხული ჯარიმების ჩამოწერაა ძალზე მნიშვნელოვანი.

მთლიანობაში ეს ისეთი ცვლილებებია, სტიმულის მიმცემი რომ არის როგორც მცირე, ისე კონკრეტულ ბიზნესსექტორებში მოქმედი ბიზნესმენებისთვის. პრინციპში, ეს არის ძალიან კარგი მაგალითი და შედეგი ბიზნესსექტორის და ფინანასთა სამინისტროს თანამშრომლობის, როდესაც ბიზნესისგან წამოსული წინადადებები აისახა კოდექსში და ვფიქრობ, მსგავსი ტიპის თანამშრომლობა უნდა გაგრძელდეს.

ამიტომ ეს ისეთი ცვლილებებია, რომელთაც მხოლოდ მივესალმები და არ მეგულება ეკონომისტი, რომელსაც საწინააღმდეგო განწყობა შეიძლება ჰქონდეს.

**— ცვლილებებზე მუშაობა საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა. არის ეს ის ცვლილებები, რომელიც ძირეულად ცვლის კოდექსს? უფრო მეტს ხომ არ ელოდით?**

— ვერ ვიტყვით, რომ ეს რაღაც რევოლუციური ცვლილებებია, თუმცა, ჯარიმებისა და საურავების ნაწილში ძალზე მნიშვნელოვანი ცვლილებაა. რაც შეეხება გადასახადების კუთხით, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვაქვს ერთ-ერთი დაბალი გადასახადები რეგიონში, ალბათ, მაინც კარგი იქნებოდა, თუნდაც იგივე საშემოსავლო გადასახადის შემცირების მიმართულებით მუშაობა.

არის კიდევ ძალიან ბევრი საკითხი, რომელიც როგორც ადმინისტრაციულ ნაწილში გამარტივებას და კიდევ უფრო ლიბერალიზაციას, ასევე თვითონ საგადასახადო განაკვეთების ნაწილში ცვლილებას ითხოვს. ასევე სამუშაოა თუნდაც, კოდექსის დახვეწის მიმართულებით.

ერთ მაგალითს მოგიყვანთ, ეს შეეხება მოგების გადასახადის მექანიზმს. თუ შარშანმე გადავიხადე მოგების გადასახადი, წელს ვიხდი ოთხ ნაწილად გაყოფილ საავანსო მოგებას, მაშინ, როდესაც შესაძლოა, წელს



მოგება არ მქონდეს — ეს მექანიზმი დიდი ხანია არსებობს, რაც პრინციპულად არასწორია და ვფიქრობ, კარგი იქნება შეიცვალოს.

არის კიდევ ერთი თემა, მაგალითად, გართულდა იმპორტიორებისთვის დღგ-ს დაბეგვრის მექანიზმი. მათ ჰქონდა საშეღავათო ორი თვე, რომელიც ახლა აღარ აქვთ, ვთვლი, რომ ყველასთვის უნდა ყოფილიყო მსგავსი ტიპის საშეღავათო პერიოდი. დღგ არის გადასახადი, რომელსაც ვიხდით რეალიზაციაზე და როდესაც შემოტანისთანავე მახდევინებ გადასახადს, მე შეიძლება არ გავყიდო და სულაც, დავასაწყობო, ამიტომ იმპორტის აღნუსხვისთანავე რომ მახდევინებ დღგ-საც, ეს არასწორია. ამიტომ არის კიდევ რიგი საკითხები, რომელიც ითხოვს მუშაობას, მაგრამ ის რაც უკვე გაკეთდა, ძალიან კარგია.

**— რაც შეეხება საშემოსავლო გადასახადს, იმ გრაფიკის მიხედვით, რაც არსებობდა, 2013 წლისთვის უნა შემცირებულიყო 18%-მდე თუმცა, არ შემცირებულა. როდესაც ხელისუფლებისგან კეთდებოდა განცხადებები, რომ საგადასახადო კოდექსზე მიმდინარეობდა მუშაობა, იყო მოლოდინი, რომ ცვლილება ამ საკითხსაც შეეხებოდა...**

— საშემოსავლო გადასახადი არის საკმაოდ მოცულობითი, დღგ-ს შემდეგ ერთ-ერთია, საიდანაც ყველაზე მსხვილი ფული შედის ბიუჯეტში. იმ პირობებში, როდესაც ხელისუფლება შეიცვალა და სოციალური ვალდებულებები გაზრდილია, ასევე, ახალი ბიუჯეტის შედგენის ვალდებულება დადგა, ასეთი ნაბიჯის გადადგმა ვფიქრობ, ცოტა სარისკოა.

თუმცა, ვთვლი, რომ მაინც აუცილებელია ამისი გაკეთება და როდესაც საბოლოოდ გვექნება მდგრადი ეკონომიკა, ამ თემაზეც დაიწყება მუშაობა, რაც დიდ შეღავათს გაუწევს ადამიანებს.

მე პირადად, დაუბეგრავი მინიმუმის შემოღების ნაცვლად საშემოსავლო გადასახადს ყველასთვის შევამცირებდი. ეს ბევრად უფრო დიდი შეღავათი იქნებოდა, ვიდრე დაუბეგრავი მინიმუმი. კი, რა თქმა უნდა, არის შეღავათი გარკვეული ჯგუფის ადამიანებისთვის, მაგრამ ნეგატიური შედეგებიც აქვს — რადგან გარკვეულ პერიოდში ბიუჯეტს ვალდებულება უჩნდება გარკვეული თანხების უკან დაბრუნების. ამას საშემოსავლო გადასახადის თუნდაც 2%-ით შემცირება სჯობდა.

**— მოსახლეობისთვის 20%-იანი საშემოსავლო გადასახადი საკმაოდ დიდი ტვირთია. თქვენ როგორ თვლით, რა იქნებოდა ოპტიმალური განაკვეთი? მაგალითად, ლებერტარიანელები თვლიან, რომ საშემოსავლო გადასახადი საერთოდ არ უნდა არსებობდეს...**

— მაგათი ლოგიკით არც ერთი გადასახადი არ უნდა არსებობდეს, თუ გვინდა რომ ნორმალურად ვითარდებოდეს სახელმწიფო, ეკონომიკა, გადასახადები აუცილებლად უნდა არსებობდეს, უბრალოდ, საუბარია ოპტიმალურ და გონივრულ განაკვეთებზე.

10%-იანი საშემოსავლო გადასახადი იქნებოდა საუკეთესო ამ ეტაპზე ჩვენთვის, თუმცა, მოკლე ვადაში ამის გაკეთება ცოტა სარისკოა, იმიტომ, რომ დანაკარგები დიდი იქნება. მაგრამ ეტაპობრივად საშემოსავლო გადასახადის 10%-მდე დაწევა იქნებოდა იდეალური. გაუქმებას რაც შეეხება, უფრო უპრიანი მოგების გადასახადის გაუქმება იქნებოდა, თუ რამის გაუქმებაზე ვისაუბრებთ — ბიუჯეტში მისი წილი დიდი არ არის სამაგიეროდ, ეფექტი იქნებოდა მაღალი.

**— ფინანსთა მინისტრი ამბობს, რომ კოდექსის გამარტივება 2016 წლისთვის გადაიდო, რამდენად სერიოზულ პრობლემას ქმნის კოდექსის ბუნდოვანება?**

— ეს არის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი წერტილი, როდესაც გამარტივებაზე ვსაუბრობდი, სწორედ ამას ვგულისხმობდი, ძალიან კარგია თუ ეს გაკეთდება — ბევრ გაურკვევლობას დაუსვამს წერტილს სხვადასხვა სამსახურებს შორის.

**— ეკონომისტები თვლიან, რომ საგადასახადო კოდექსზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული, მათ შორის, ბიზნესის სტიმულირება, ხელშეწყობა, განვითარება. რა არის ის აუცილებელი ნაბიჯები, რაც უნდა გადაიდგას ბიზნესის ხელშწყობისთვის?**

— ბიზნესომბუდსმენის მიმართ ძალიან ბევრი წინადადებაა დაგროვილი — ბიზნესმენების მხრიდან კონკრეტულ წინადადებებს არ ვგულისხმობ, რომლებიც შეღავათებს ითხოვენ — კოდექსი უნდა იყოს ყველასთვის თანაბარი, ნაკლებხარჯიანი, როგორც დროის, ასევე ფინანსური კუთხით.

დროში ვგულისხმობ დოკუმენტების რაოდენობასა და დროზე, რომელსაც ხარჯავს მეწარმე საგადასახდო ორგანოებთან ურთიერთობაში — ამის მაქსიმალურად შემცირებაზე აქცენტირება კარგი იქნებოდა.

რაც შეეხება ხარჯებს, უნდა მოხდეს განაკვეთების თანდათანობით და ეტაპობრივად შემცირება და რაც მთავარია, კოდექსი უნდა იყოს ყველასთვის გასაგები და მარტივად წასაკითხი. კოდექსი უნდა იყოს მორგებული ბიზნესის ინტერესზე და არ უნდა იქცეს ბიზნესისთვის ტვირთად — ამ მიმართულებებით მუშაობა ძალზე მნიშვნელოვანია.

**მარიამ თოდაძე**

**◉ ალიანჩალიანი**

## საბავშვო ბაღები მუშაობას 8 სექტემბერს განაახლებენ

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში განუცხადეს , სასწავლო პროცესი 8 სექტემბერს დაიწყება.**

**მათივე ინფორმაციით, მუშაობას თბილისის მასშტაბით ყველა საბავშვო ბაღი განაახლებს.**

## საქართველოში ყირიმ-კონგოს დაავადების 21 შემთხვევაა დადასტურებული

**ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ პრეკონფერენციაზე განაცხადა.**

**მისივე ინფორმაციით, ფატალურად დასრულდა სამი შემთხვევა. გამყრელიძე აცხადებს, რომ პანიკის საფუძველი არ არსებობს, თუმცა მრავალმხრივი პროფილაქტიკური სამუშაოები აუცილებელია.**

## პროექტი „მწვანე არდადეგები“ დაიწყო

**გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებული, პროექტი „მწვანე არდადეგები“ გუშინ დაიწყო.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან აცნობეს, მინისტრმა ელგუჯა ხოკრიშვილმა, აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან, ბათუმის მერთან, დაცული ტერიტორიების სააგენტოს დირექტორთან და ბათუმელ ახალგაზრდებთან ერთად აქციის — „ნუ დატოვებ ნარჩენებს“ ფარგლებში ახალი ბულვარის სანაპირო ზოლი ნარჩენებისგან დაასუფთავეს.**

**მინისტრმა მხატვრების ნამუშევრებიც დაათვალიერა, რომელიც ახალგაზრდებმა „დახატე შენი მწვანე არდადეგების“ ფარგლებში შექმნეს.**

**ბათუმის ცენტრში 12მ სიგრძის კედელი მოიხატა, ხოლო ბათუმის სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა სანაპირო ზოლზე ამავე თემატიკაზე ნამუშევრები შექმნეს.**

## დედოფლისწყაროში საკრებულოს წევრის ავტომანქანას ცეცხლი წაუკიდეს

**დედოფლისწყაროში საკრებულოს ნაციონალური მოძრაობის წევრის ლევან ბაღაშვილის ავტომანქანას ცეცხლი წაუკიდეს.**

**ინციდენტი დედოფლისწყაროში გვიან ღამით ბაღაშვილის საცხოვრებელ სახლთან მოხდა.**

**თვითმხილველების თქმით, დაახლოებით 01:30 საათზე აფეთქების ხმა გაიგეს, რის შემდეგაც აალებული მანქანა დაინახეს და ცეცხლი სახანძროს ბრიგადის მისვლამდე ჩააქრეს.**

**ნაციონალური მოძრაობის წევრი მომხდარს მის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებს და ინციდენტში პრემიერ-მინისტრის ოჯახის წვრებს ადანაშაულებს.**

**შემთხვევის ადგილზე ექპერტ-კრიმინალისტები მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდნენ.**

**აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, გამოძიებას დედოფლისწყაროს რაიონული პოლიცია აწარმოებს.**

◉ პრობლემური სესხები

# რას გვიშვება ეს „გუდიანი კაცი!“

**სიტყვა „იპოთეკა“, რაც კომერციული ბანკიდან სესხის გამოტანის სანაცვლოდ საკუთარი საცხოვრისის გირაოში ჩადებას ნიშნავს, ჩვენში კარგა ხანია, ბავშვებისთვის მეტად საშიში „გუდიანი კაცის“ სინონიმად იქცა. იმის თაობაზე, რომ უამრავმა ადამიანმა ბანკებში დაგირავებული თავისი საცხოვრისი ვერ გამოისყიდა, სესხი დროულად ვერ დაფარა და შედეგად უსახლკაროდ დარჩა, საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის.**

ასეთი მძიმე მდგომარეობის, ასე ვთქვათ, „თანაშემქმნელნი“, ცხადია, თავად კომერციული ბანკებიც არიან რომლებიც, ჯერ ერთი, ფულს უსაშველოდ მაღალი საპროცენტო მონაკვეთით და, მეორეც, ხშირად სესხს კლიენტის მძიმე ფინანსური მდგომარეობის გაუთვალისწინებლად გასცემენ, რაც, როგორც ჩანს, ხშირად უფრო ხაფანგის დაგებას ჰგავს ხოლმე. ტყუილად როდი თქვა ამ ცოტა ხნის წინათ ერთმა ქართველმა ბანკირმა: **სესხს ყოველთვის სამართლიანად რომ გავცემდეთ, აბა, რისი ბანკირები ვიქნებოდითო.** არადა, არაოფიციალური მონაცემებით, **საქართველოში კომბანკების მიერ გაცემული სესხების ოც პროცენტზე გაცილებით მეტი პრობლემურია: მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ამ მხრივ 124 ქვეყანას შორის ჩვენ 52-ე ადგილზე ვიმყოფებით,** რაც, მართალია, სხვებთან შედარებით არც მთლად კატასტროფული მაჩვენებელია, მაგრამ არც დიდად შესაგუებელი.

**უსახლკაროდ თუ დაგირჩი...**




აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო წლებში, მოსახლეობის მიერ აღებული სესხების მთლიან მოცულობაში, იპოთეკური სესხების ოდენობა (მათ შორის, ცხადია, პრობლემურიც), მნიშვნელოვნად გაზრდილია, რაც მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზითაა განპირობებული. არადა, როგორც ცნობილია, 2008 წლის მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი მიზეზი ამერიკის შეერთებულ შტატებში სწორედ რომ, ბანკების მიერ დიდი ოდენობით პრობლემური სესხების, მათ შორის, იპოთეკურის, გაცემა გახდა. ამ შემთხვევაში, ცხადია, მასშტაბები შეუდარებელია, მაგრამ დაფიქრების საბაბი ნამდვილად არსებობს. მით უმეტეს, რომ ფინანსურის გარდა, პრობლემის უმნიშვნელოვანესი ასპექტი მისი სოციალური მხარეა, როცა ვალის გადაუხდელობის გამო მთელი ოჯახები უსაცხოვრისოდ, რომ იტყვიან, ღია ცის ქვეშ რჩებიან. თანაც გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ პროცესის დინამიკას თუ დავაკვირდებით, პრობლემური იპოთეკური სესხების ოდენობა, რაც საბოლოო ანგარიშით, მსესხებლისთვის საცხოვრისის დაკარგვით დასრულდა, ბოლო 6-7 წლის განმავლობაში განუხრელად იზრდება. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ არსებული სტატისტიკური მონაცემები აშკარად არასრულია, ამდენად, ქვეყანაში პრობლემური სესხების ერთიანი სურათი გაცილებით მძიმეა, თუმცა კი სათანადო ინფორმაციის მიღება, არსებითად, შეუძლებელია.

უნდა ითქვას, რომ აღსრულების ეროვნული ბიურო აუქციონებზე გაყიდული იპოთეკური სესხებით დატვირთული ქონების მიზეზებს არ მიუთითებს. თუმცა კი, უამისოდაც მოყვანილი, რომ იტყვიან, „შიშველი ციფრები“, ნამდვილად ავის მეტყველია: **შარშანდელი ოქტომბრიდან წლევანდელ ივნისამდე 925 ერთეული უძრავი ქონების სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტის სასარგებლოდ რეალიზების ფაქტია დადგენილი. მათ შორის, კომერციულმა ბანკებმა გაცემული კრედიტების სანაცვლოდ 172 ერთეული, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა — 157 ერთეული, ხოლო ლომის წილი — 593 ერთეული — კერძო მევახშეების სასარგებლოდ გაყიდეს.**

წარმოჩენილი სურათი მოწმობს, რომ გაჭირვებულ ხალხს კერძო პირებთან მოლაპარაკება ურჩევნიათ კომერციულ ბანკებთან თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან საქმის დაჭერას. თანაც, გამოცდილება მოწმობს, რომ ყველაფერი ხშირად ბევრი ფორმალობის გარეშე ხდება, რაც ორივე მხარეს აწყობს. მართალია, ბოლო დროს საკანონმდებლო დონეზე კი არის კერძო იპოთეკარებისთვის გარკვეული შეზღუდვების დაწესების მცდელობა. კერძოდ, გაზაფხულიდან ისინი ვალდებულნი არიან, იპოთეკური ხელშეკრულებები ნოტარიულად გააფორმონ, დაწესებულია საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარი (3,68 პროცენტი), მაგრამ იმაზე ლაპარაკი, რომ ეს პრობლემური სესხების მასობრივად აღებას ოდნავ მაინც შეაჩერებს, ვფიქრობთ, სრულიად ზედმეტია.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ საკითხის წმინდა წყლის საფინანსო მხარის გარდა, ძალიან დიდი სოციალური დატვირთვა აქვს, რომელსაც, აუცილებლად არა ცალმხრივი, არამედ კომპლექსური მიდგომა სჭირდება. აი, აქ კი ხელისუფლებას, რომ იტყვიან, გაშლილი საასპარეზო აქვს — ესაა მთლიანად სადაზღვევო სისტემის მოწესრიგება, საპენსიო რეფორმის გატარება და იმ „ქვის ხანიდან“ გამოსვლა, რომელშიც ის ამჟამად იმყოფება, ჯანმრთელობის სფეროს სოციალური ასპექტების (მათ შორის, უწინარესად, მედიკამენტების ფასის კონტროლის) გაცილებით სწრაფი ტემპით გაძლიერება, განათლების სისტემაში, კომუნალურ სფეროში ნაკლებად შეძლებული ფენებისთვის სათანადო შეღავათების მოთხოვნის რეალურად დაკმაყოფილების დონემდე მიყვანა და კიდევ მრავალი სხვა, რომელთა ჩამონათვალს იმ მარტივი მიზეზით არ შევუდგებით, რომ ყოველივეს შესახებ მოსახლეობაზე კარგად ხელისუფლებამ უწყის, რომელსაც ქვეყნის მართვის მანდატი იმიტომ აქვს, რომ სწორედ ამ პრობლემის გადაჭრაზე იმუშაოს დღენიადაგ.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ კაკალ გულში

## ანაკლიაში ქართველი პუტანკები შიმშილით დაიხოცებიან!

**წერტილოვანი ფრაზები**

**● კაცი რო მოდილიანის მერე მიშას ითამაშებს, იმას ოსკარი კი არა, შავი ქვა უნდა მიცე.**

**● თუ რუსეთი კვლავ გამოგვიცხადებს ემბარგოს, ჩვენ შევეგუებით და მოვერგებით ახალ სიტუაციასო, — საგარეო საქმეთა ქალბატონმა მინისტრმა ჰრქუა.**

**რასაკვირველია, ეს ქალბატონი „შეეგუება და მოერგება“, ღვინო ამას არა აქვს გასატანი და ხილი და 42 გრადუს სიცხეში მომუშავე ქართველი გლეხი, ფეხებზე არა ჰკიდია?!**

**ჰოდა, სანამ მინისტრებზეც გამოუცხადებიათ ემბარგო, — გაიტანეთ საგარეო საქმეთა მინისტრი!**




**● მიგდებული ბავშვი, დროთა განმავლობაში, ნაპოვნ ბავშვად გადაიქცევაო, — ჩვენს პარლამენტს თავშეფარებულ, ერთი-ორ „გამოჩენილ“ პარტიაზეა ნათქვამი.**

**● ვინმე ამიხსნის, რატომ დაეთრევიან გზასაცდენილი, ცეცხლზე ნავთის დამსხმელი კრეისერები დროდადრო ბათუმში?!**

**● ახლა ერთი ნაციონალის გვერდზე შევედი. მიშას სურათი უდევს და კომენტარი აქვს ასეთი გაკეთებული: „ლომი ბორკილს არ დაიდებს, ან მოკვდება ან იმეფებს“... ? ან სკოლაში ვერ გასწავლეს ცხოველების გარჩევა, ან სახლში, კურდღელი და ლომი რომ ვერ გაგირჩევია?? .. არც ზოოპარკში გინახავს ვოლიერში გამომწყვდეული ლომი? ცირკის არენაზე ორ ფეხზე მდგომი?**

**● კაი მატყლის საბანი და რომ ამოიკეცავ ფეხებშუა, დილას, რომ შეგაციებს...ჩამქვრალი შეშის ფეჩი და ადგომა, რომ გეზარება ასანთებად, თან შეშაც სახლში არაა (აუ, რა გავგრილდიი).**

**● ღრუბელი ვიჩალიჩე, იქნებ საღამოს წვიმაც გავაჩალიჩო!**

**● „ცნობილი ქართველი“ ის რო იქნება ვინც ტელევიზორში ხშირად ჩანს და არა ის, ვისაც რაღაცა ღირებული შეუქმნია ქვეყნისთვის, იმ ჟურნალისტური ღირებულებების დედა ვატირე (და არა მარტო ჟურნალისტურის)!**

**● ენდი გარსიასაც პრასტატა აქვს?**

**● დღეს ისეთი სიცხე იყო, ხეები ძაღლებს მისდევდნენ და ეხვეწებოდნენ მოგვაფსით, თქვენი ჭირიმეო.**

**● კაზანტიპზე იმდენი უკრაინელი ნაშა ჩამოდის, ქართველი პუტანკები შიმშილით დაიხოცებიან.**

**● facebook-ზე მიმოწერა მე-16 საუკუნეში:**

**— ნახე თუ ძმა ხარ, ჯორდანო ბრუნო ონლაინზეა??**

**— ხო რავი, ანთია და...**

**● კანცელარიაში ჩაბარებული შარვალკასტიუმების ავთენტურობა თუ დაადგინეს? (ეგ ისეთი უნამუსოა, სექენდ-ჰენდში ნაყიდს გამოგზავნიდა).**

**● — ევროკავშირში როდის მიიღებთ საქართველოს?**

**— თქვენ სიცხე ხომ არ გაქვთ?**

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძე**

◉ SIC!

## ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია მოქალაქეებს აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში ჩასვლაზე თავშეკავებისკენ მოუწოდებს

**ბოლო მონაცემებით, ებოლას ვირუსით 2127 ადამიანია დაინფიცირებული. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ამირან გამყრელიძის ინფორმაციით, ებოლას ვირუსით გამოწვეული დაავადების შედეგად 1145 ადამიანი გარდაიცვალა.**



**როგორც გამყრელიძემ განაცხადა, საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ იმ ადამიანების მეთვალყურეობა ხდება, რომლებიც მაღალი რისკის ქვეყნებიდან შემოდიან. ამ დროისათვის ასეთი ქვეყნებიდან 8 ადამიანია შემოსული.**

**„ებოლას ვირუსით გამოწვეული დაავადება არის ერთ-ერთი საშიში ინფექცია, რომლის ლეტალობის მაჩვენებელიც 90%-მდეა. ახლანდელი ეპიდაფეთქების დროს დასავლეთ აფრიკის ოთხ ქვეყანაში (ნიგერია, გვინეა, სიერა ლეონე, ლიბერია) ლეტალობის მაჩვენებელი 60%-მდე ავიდა. ეს დაავადება გადადის ცხოველიდან ადამიანზე, თუმცა, ძალიან დიდია ადამიანიდან ადამიანზე გადასვლის მაჩვენებელი. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ ებოლა გამოაცხადა საერთაშორისო ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებულ საფრთხედ. ქვეყნები დაყოფილი არიან საფრთხეების მიხედვით სამ ჯგუფად, ყველაზე მაღალი რისკის ჯგუფში არის ის ოთხი ქვეყანა, სადაც ეპიდაფეთქებაა, შემდეგ მოსაზღვრე ქვეყნები და შემდეგ სხვა ქვეყნები. ჩვენ შევდივართ სხვა ქვეყნების ჯგუფში, სადაც გადადების და შემოტანის საშიშროება დაბალია, მაგრამ თეორიულად არსებობს. სხვა ქვეყნებში დღეს არავითარი აკრძალვა არ არის, მხოლოდ გაფრთხილებაა, რომ, თუ განსაკუთრებული აუცილებლობა არ არის, ამ ოთხ ქვეყანაში ნუ ჩავალთ. დღეს საზღვარზე არის შესაბამისი პერსონალი, მათ შორის, ექიმებიც, ისინი სამახსოვროებს ურიგდებენ მაღალი რისკის ქვეყნებიდან შემოსულ ადამიანებს. ამ ქვეყნებიდან შემოსული ადამიანების მისამართები დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს გადმოეცემა, რომ 21 დღის განმავლობაში ამ ადამიანებზე გარკვეული მეთვალყურეობა იყოს“, — განაცხადა გამყრელიძემ.**

◉ ალიანჩალიანი

## შეუერთდნენ „სოლიდარობის ფონდის“ ინიციატივას

**„სოლიდარობის ფონდის“ ინიციატივას, უკვე 14 ათასზე მეტი საჯარო მოხელე შეუერთდა. ამის შესახებ „სოლიდარობის ფონდის“ სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფონდში დონაციის განხორციელება ნებაყოფლობითია და არა სავალდებულო.**

**„ჩვენი მთავრობა მუშაობს ისეთ სახელმწიფო პოლიტიკაზე, რაც მთლიანად არის ორიენტირებული ადამიანზე და ეს არაერთხელ გვაქვს გაცხადებული და საქმით დამტკიცებული. ჩვენ დავიწყეთ მასშტაბური რეფორმები ჯანდაცვის სფეროში, ვფიქრობთ, რომ საზოგადოებრივი სოლიდარობის გარეშე ქვეყანას, რომელიც ახლა იწყებს ფეხზე დადგომას, ძალიან გაუჭირდება ერთბაშად ყველა იმ პრობლემის გადაჭრა, რომლებიც ჩვენს მოქალაქეებს აწუხებს. სწორედ ამიტომ, ჩვენ გადავწყვიტეთ, შევქმნათ საქართველოს სოლიდარობის ფონდი, ჩვენმა მთავრობამ 2013 წელს უპრეცედენტოდ გაზარდა ჯანდაცვის ბიუჯეტი, დაახლოებით 2 მილიონზე მეტი ადამიანი არის დაზღვეული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში. ამასთან ერთად, ჩვენ დაგვრჩა გადაუჭრელი მთელი რიგი ძვირად ღირებული სამედიცინო მომსახურება, რომლებიც დღეს არსებული სახელმწიფო რესურსებით, სამწუხაროდ, სრულად ვერ დაიფარება. სწორედ ამ საკითხის გადასაჭრელად გამოვედით ინიციატივით, რომ შევქმნათ ფონდი, რომელიც ითვალისწინებს როგორც სახელმწიფოს, ასევე საზოგადოების და კერძო სექტორის თანამონაწილეობას იმისთვის, რომ მოხდეს ალტერნატიული არასაბიუჯეტო რესურსების მობილიზება, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.**

**მისივე თქმით, ფონდში რესურსების მობილიზება მოხდება სოლიდარობის პრინციპით, ანუ ინდივიდუალური მოქალაქეების და კორპორაციების ნებაყოფლობითი შენატანებით, ხოლო მმართველობას განახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო. პრემიერის თქმით, ფონდი იქნება აბსოლუტურად გამჭვირვალე და მის შემადგენლობაში სამთავრობო სექტორთან ერთად იქნებიან საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის, წარმოდგენილი იქნებიან გაერო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები. „სოლიდარობის ფონდს“ თბილისის მერია და საკრებულო შეუერთდა.**

№166-167. ოთხშაბათი, 20 აგვისტო, 2014 წელი.

# რაღა კანიბალი ბოკასა და რაღა სააკაშვილი

**იმ სიმღერის დასაწყისისა არ იყოს — „კაცი ვარ და ქუდი მხურავს“ — სააკაშვილმა უნდა თქვას კაცი ვარო. სახელმწიფო ფულის ხარჯვასთან დაკავშირებით პროკურატურის მიერ გამომზეურებული მასალები, ზღვაში წვეთია უამრავ აღვირახსნილობათა შორის, რომლებიც სააკაშვილმა და მისმა ამფსონებმა ცხრაწლიანი მმართველობის დროს ჩაიდინეს.**

სახელმწიფო ფულთან დამოკიდებულება ერთობ „ლაითად“ ჰქონდათ წარმოდგენილი ნაცებს, თუმცა, ეს „სიმსუბუქე“, „მოქალაქეთა კავშირში“ ყოფნის დროსაც უხვად იყო. ამ ორგანიზაციის ახალგაზრდული ფრთა, მოგვიანებით „ნაცებად“ ქცეული, იმ დროისთვის მსუყე, სამივლინებო ხარჯებს, ჯიბის ფულად, 5000 დოლარსაც უმატებდნენ ე.წ. გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის.

რას ნიშნავს „გაუთვალისწინებელი ხარჯები“? ეს ის ხარჯებია, რომელიც პარლამენტის წევრის მიერ, მივლინებაში ყოფნის დროს იხარჯებოდა მასპინძელი ქვეყნის პოლიტიკოსის სადილზე, ვახშამზე დასაპატიჟებლად.

„გაუთვალისწინებელი ხარჯების“ ანგარიშს ბუღალტერია არ ითხოვდა.

„გაუთვალისწინებელი ხარჯების“ აპრობირებული მეთოდი იყო საბჭოთა დიპლომატიაში, გადასაბირებელი მასპინძლის მოხიბლისთვის. საბჭოთა გამოცდილება წარმატებით გადმოიღეს „მოქალაქეთა კავშირის“ იმ ახალგაზრდებმა, რომლებმაც მოგვიანებით „ნაციონალური მოძრაობა“ ჩამოაყალიბეს.

და ეს ხდებოდა იმჟამინდელ გაღლეტილ საქართველოში, რომელშიც არა თუ 5000 დოლარს, თითო თეთრსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ პარლამენტის წევრი „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები უცხოეთში ალამებდნენ და ათენებდნენ, სახელმწიფოს ბიუჯეტიდან გატანილი, საკუთარი „გულაობისთვის“, დახარჯული ფული - ასტრონომიულია. ასე, რომ ნაციონალური ხელისუფლება იმთავითვე იყო გამობრძმედილი სახელმწიფო ფულის „უპრაგონო“ ხარჯვაში.

**ხაზგასმით აღვნიშნავ — ნაცთა მიერ 2009-2013 წლებში საიდუმლო გრიფით დახარჯული ფული მოკრძალებულია იმ ფულთან შედარებით, რაც ოფიციალურად არის დახარჯული. პროკურატურამ გულდასმით, სიღრმისეულად უნდა შეისწავლოს პრეზიდენტის მიერ საიდუმლო თუ არასაიდუმლო გრიფით დახარჯული ხარჯების სისწორის საკითხი და შესაბამისი დასკვნები გამოიტანოს.**

„თევზი თავიდან ყარსო“, რომ იტყვიან, ზუსტად შეესაბამებოდა ვითარებას. ისე, როგორც სააკაშვილი, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, დანიშნულნი სააკაშვილის მიერ, საკუთარივით ეპყრობოდნენ თავიანთი დაწესებულების ბიუჯეტს.

აფსუს, საბჭოთა კავშირი — კაპიკს ვერ დახარჯავდი შესაბამისი დოკუმენტაციისა და ანგარიშების გარეშე. ვერც მივლინებაში წახვიდოდი დაუსაბუთებლად. ხოლო მივლინების შემდეგ, მოხსენებითი ბარათი უნდა დაგეწერა, მივლინებაში გაწეული მუშაობის თაობაზე.

აღნიშნული პრაქტიკა, რახანია ისტორიას ჩაბარდა, არადა საჭირო რამ არის, ისე, როგორც ახალი ქალაქის მერის მიერ, ყოველ ორშაბათს, მოქალაქეთა მიღების პრაქტიკის აღდგენა.

მსგავსი „ბაირამობაში“ დახარჯულ თანხებს დიდი ვიშვიში მოჰყვა საზოგადოებაში. არადა სავიშვიშოდ ნებისმიერმა ჩვენგანმა გავიხადეთ თავი, როდესაც ზოგმა, განსაკუთრებით ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, ათი წელიწადი და მეტი გუნდრუკი ვუკმიეთ არაადეკვატურ, თაღლით ენერგიულ პოლიტიკოსსა და მის ამფსონებს.

მსოფლიოში იშვიათად მოიძებნება ლიდერი, რომელმაც ისე ინავარდა, როგორც სააკაშვილმა. წესად იყო ქცეული გამუდმებული უცხოური ვოიაჟები, ლამის შვიდვარსკვლავიანი სასტუმროების ნომრების დაქირავება, პრესტიჟული, ძვირფასი ავტომანქანებით „კატაობა“, უძვირფასესი დელიკატესების დაგემოვნება, დესერტად გარყვნილი ცხოვრება და ა.შ.

რაღა აფრიკელი ბოკასა და რაღა სააკაშვილი. განსხვავება ისაა, თუ ბოკასა, პირდაპირი გაგებით მიირთმევდა ადამიანის ხორცს, სააკაშვილი, გადატანითი მნიშვნელობით.

25000 პატიმარი ოთხნახევარ მილიონიანი საქართველოსთვის არაფერს ნიშნავს?!

საზოგადოება? საზოგადოებამ არ იცოდაო ამ დეტალების შესახებ, — იტყვიან მავანნი. ბარემ არაერთი სტატია მივუძღვენი პრეზიდენტ სააკაშვილის (მისი ზეობის დროს) „ბაირამობას“ — მერე რა? — წაიკითხეს და მირჩიეს — თავს გაუფრთხილდი, ციხეში გაგისტუმრებსო.

**საზოგადოება იმდენად მიეჩვია მსგავს ბოროტებას, აინუნშიც არ აგდებდა პირველი ხელისუფალის, მისი ნათესავებისა და ახლობლების გულისამრევ საქციელს. პირიქით, ვისაც მიუწვდებოდა ხელი, თავს ისაპნავდა უკანალში შესაძრომად. 2011 წლის 26 მაისის ზეიმზე პრეზიდენტისთვის მკერდის მიშვერა საპატიო ჯილდოს დასაბნევად, სწორედაც თავის გასაპენა იყო და იმ სისხლის მობანვა, რომელიც რამდენიმე საათით ადრე დაიღვარა იმავე მოედანზე.**



როდესაც მსგავს უმსგავსობას აქვს ადგილი, აღარ უნდა გაგვიკვირდეს სააკაშვილისა და მისი ნაცების დღევანდელი თავის მართლება, შეტევაზე გადასვლას რომ ჰგავს.

„შეხედეთ სააკაშვილის დროინდელი ბიუჯეტის ზრდას და მერე ილაპარაკეთო“, — თითქოს სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდა, სახელმწიფო ხაზინის ქურდობასთან რაიმე კავშირში იყოს. ნაცთა ნაბოდვარით ისე გამოდის, თუ პრეზიდენტის დროს ბიუჯეტი გაიზარდა, მისი „წილი“ მისსავე ჯიბეში უნდა წავიდეს. ამას ჰქვია სახელმწიფოებრივი აზროვნება ნაცურად!

მართალი გითხრათ, არც ხალხის აზროვნება ჩამორჩება ნაცთა ავადმყოფურ თავებში მომწიფებულ სისულელეს. ჩემს გაცხარებას მუდამ სდევდა მავანთა დიდაქტიკური განმარტება - აბა როგორ გინდა, პრეზიდენტიაო.

ნაცებმა ისიც თქვეს — შეხედეთ, როგორ იქცევიან საზღვარგარეთის ქვეყნების პრეზიდენტებიო? აი, აქ კი ჩაიჭრნენ. თუმცა, სულ ჩაჭრილები არ არიან?!

გერმანიის ყოფილ პრეზიდენტს 400 ევროც არ აპატიეს, რომელიც მისმა მეგობარმა გადაიხადა სასტუმროს ნომრის დაქირავებისთვის. საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტ ჟაკ შირაკს სულ კაპიკ-კაპიკ დაუთვალეს მავრიკიის ორკვირიანი დასვენება თავის მეუღლესთან ერთად და არა სხვის მეუღლეებთან ან მსუბუქი ყოფაქცევის გოგონებთან, რასაც სააკაშვილი სისტემატურად მიმართავდა.

პრეზიდენტ სარკოზის ერთ-ერთი ქალბატონი მინისტრი, თანამდებობიდან სასწრაფოდ გაათავისუფლეს, როდესაც ტუნისში გასამგზავრებლად, მაშინდელი პრეზიდენტის ბენ ალის გამოგზავნილი თვითმფრინავით ისარგებლა. თვით ყოფილ პრეზიდენტ სარკოზიზე აღარაფერს ვიტყვი, ვინაიდან მკითხველმაც კარგად იცის, რაც დამართეს.

გერმანიის ბუნდესტაგის თავმჯდომარე ქალბატონი ზიუსმიდტი ლამის სამსახურიდან დაითხოვეს პერსონალური ავტომანქანით მეუღლის დამგზავრებისთვის. სხვა არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რაც აშკარა დამადასტურებელია იმისა, თუ როგორ მოკრძალებულად იქცევიან ჩვენს მიერ მიზნად ამორჩეულ ევროკავშირში.

თუ ბიუჯეტის გაზრდაზეა ლაპარაკი, რა უნდა თქვას ჩინეთის ლიდერმა სი ძინპინმა? — მან, ნაცთა გაგებით, კოსმოსში „ბოზებით“ უნდა იფრინოს.

არამზადა ნაცებო, თქვენს მიერ მოყვანილი არგუმენტები, გურულები რომ იტყვიან — ნამეტნავად აბდლურია! როდესაც თავი ყარს, ქვევით მყოფიც ისე იქცევა, თვითონაც რომ აყროლდეს. ასე აყროლდა უგულავა, ბოკერია კეზერაშვილი — ომში „გამარჯვებული“ სარდალი, სხვები და სხვები...

> ***თუ ვინმემ გაუტეხა საქართველოს სახელი უცხოეთში — ეს სააკაშვილია, თავის დაუპატიჟებელი ვიზიტებითა და ქარაფშუტული საქციელით. ასეთი ქარაფშუტა პრეზიდენტის ქვეყანაში, ვინ ჩამოდგამს ფეხს?!***

2008 წლის ომი ახალდამთავრებული იყო, როდესაც კეზერაშვილი მეუღლესთან და მეგობართან ერთად ლას-ვეგასს ეწვია, სადაც სასტუმროს ნომერში, 24 საათის განმავლობაში, 30000 დოლარი გადაიხადა. სხვათა შორის, ამის შესახებ ლეიბორისტებიც გაჰყვიროდნენ, სარწმუნო წყაროების მოშველიებით.

ტაილანდის ფხუკეთში სააკაშვილის, ბაქრაძისა და ვარშალომიძის გასეირნება ნაცებმა სახელმწიფო საქმის კეთებას მიაწერეს. არადა ფხუკეთში რომ „სახელმწიფო საქმეა“, დროსტარებას, ლიბერასტების სექსს უფრო შეესაბამება.

და რახან სახელმწიფო ვახსენეთ, ისიც ვთქვათ, რა ნამუსით უნდა იხეტიალოს პრეზიდენტმა უცხოეთში, როდესაც შინ აშლილი ქვეყანა უტირის?

დღეს, თუ რამეზე ამახვილებს საზოგადოება ყურადღებას — ფულის გაფლანგვაა. არავინ ამბობს დროის გაფლანგვაზე. „24 საათი უნდა ვიშრომოთო“, — მოგვიწოდებდა სააკაშვილი. თვით კი 24 საათს „ბაირამობდა“; 24 საათს თავს ესხმოდა ამა თუ იმ ქვეყნის პრეზიდენტს — დაუპატიჟებლად, გაუფრთხილებლად. ყოველივე ამას მისი ჯიბის ჟურნალისტიკა ოფიციალურ ვიზიტად ნათლავდა.

თუ ვინმემ გაუტეხა საქართველოს სახელი უცხოეთში — ეს სააკაშვილია, თავის დაუპატიჟებელი ვიზიტებითა და ქარაფშუტული საქციელით. ასეთი ქარაფშუტა პრეზიდენტის ქვეყანაში, ვინ ჩამოდგამს ფეხს?!

სააკაშვილმა, როგორც შინ, ისე გარეთ შემოიკრიბა ამფსონები, ფულს და პატივისცემას დახარბებულები. სწორედ, ისინი იცავენ მას, თან დღევანდელ ხელისუფლებას ადანაშაულებენ „კუდიანების“ დევნაში. „ამით საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციაში შეეშლება ხელიო“, — აცხადებენ ისინი, თან მოგვიწოდებენ შევეშვათ წარსულს და ვიყუროთ მომავლისკენ. ბინძური წარსულის გამოუსწორებლად საამური მომავალი არ აშენდება. ეს მარტივი ჭეშმარიტება კარგად უნდა გაიაზრონ არა მარტო შინაურებმა, არამედ გარეულებმაც.

ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე აცხადებს: „ისტორია განსჯის ქვეყანას, რომელიც ასეთ ხელისუფლებას შობს და ქვეყანას აღარ ექნება აღარავითარი პერსპექტივა. თუ კი ცდილობ, დაამტკიცო, რომ შენი ქვეყანა არის აგრესორი, ათასობით ადამიანის დამბომბველი, ამ ქვეყნის საერთაშორისო პერსპექტივა დგება კითხვის ქვეშ და არა სააკაშვილის“.

ექსპერტის განსჯით, ხელისუფლებამ ყურადღება არ უნდა მიაქციოს სააკაშვილის მიერ ჩადენილ დანაშაულებს, განსაკუთრებით 2008 წლის ომის დაწყებას, ვინაიდან საერთაშორისო სარბიელზე ქვეყანა დაკარგავს თავის სახელს.

არადა, მწარე სიმართლე რომ ვაღიაროთ, ტალიავინის დასკვნის შემდეგ, უცხოეთმა კარგად გაიგო, ვინ ვართ ჩვენ და, რომ არა მათთვის მტრის ხატად ქცეული რუსეთი, დიდი ხანია ოთხში ამოგვიღებდა.

იმის შიშით, რომ ქვეყანას ჩრდილი მიადგება სააკაშვილი არ უნდა გასამართლდეს? და თუ მართლაც მიადგება — გასაკვირი იქნება?

**გასაკვირი ის იყო, როდესაც ცრუ პროპაგანდას აყოლილმა საზოგადოებამ პარლამენტის შენობის წინ უმღერა და უცეკვა თავის „გმირ“ სააკაშვილს, მაშინ როდესაც ქართველი მეომრების ცხედრები უპატრონოდ ეყარა ცხინვალის მიწაზე.**

ევროკავშირის ლოკომოტივად წოდებული გერმანია დღესაც იხდის ბოდიშს მეორე მსოფლიო ომის წამოწყებისთვის და ჩადენილი დანაშაულებისთვის. მსგავსი ფაქტები მოხდა იაპონიაში, სხვაგან. ჩადენილი დანაშაულისთვის ბოდიშის მოხდა სირცხვილი არ არის. ბოდიშის მოუხდელობაა სირცხვილი და უტიფრობა, რაც ახალი დანაშაულის საწინდარია.



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

**ალიანჩალიანი**

## პირადობის მოწმობა 15 ლარად

**20 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე, იუსტიციის მინისტრის ინიციატივით გამოცხადებული აქციის ფარგლებში, პირადობის ახალი მოწმობის აღება 34 ლარის ნაცვლად, 15 ლარი ეღირება.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ იუსტიციის სამინისტროდან აცნობეს, თბილისის იუსტიციის სახლში, გუშინ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ სოსო ბაღათურიამ და იუსტიციის სახლის აღმასრულებელმა დირექტორმა ირაკლი ლომიძემ აქციით სარგებლობის პირობებზე ისაუბრეს.**



**აქციის პირობების თანახმად, პირადობის ახალი მოწმობის მიღების მსურველები პირადობის დამადასტურებელ ახალ დოკუმენტს 15 ლარად, სტანდარტულად 10 დღის ვადაში მიიღებენ და გათავისუფლდებიან ფოტოსურათის გადაღების 3 ლარის გადასახადისგანაც.**

**დაჩქარებული მომსახურების მიღების მსურველებს კი 15 ლართან ერთად, მხოლოდ დაჩქარების ღირებულებს გადახდა მოუხდებათ.**

**მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტის გაცემასთან ერთად ხდება რეგისტრაციის ადგილის შეცვლა, მოქალაქემ უნდა მიმართოს სერვისების განვითარების სააგენტოს/იუსტიციის სახლის იმ ფილიალს, რომლის სამოქმედო ტერიტორიასაც განეკუთვნება მისი ამჟამინდელი საცხოვრებელი მისამართი.**

**დღეის მონაცემებით, ელექტრონული პირადობის მოწმობას უკვე 1 200 000 ადამიანი ფლობს.**

# „მოყვარე მტერი ყოვლისა, მტრისაგან უფრო მტერია“...

## ისევ ადამიანური ადამიანების შესახებ

**ამ ათიოდე წლის წინათ ვინ წარმოიდგენდა, თუ ახალგაზრდა, ნიჭიერი კაცი, რომელიც იმთავითვე გმობდა მომხვეჭელობას, მექრთამეობას, განდიდების სურვილს, თანამდებობის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებას, თავადვე გახდებოდა ყოველივე ამის მსხვერპლი?**

სენსაციურ მოვლენებს კარგა ხანია, შეეჩვია ხალხი, მაგრამ ის, რაც ახლა ხდება სასწაულზე მეტია! და ამ სასწაულებს განა უცხო მტერი გვიწყობს, არა, იგივე ჩვენი „თანამემამულენი“, ხალხის რჩეულები, რომლებიც კარგა ხანს, ქვეყნის სამართავ აპარატში ისხდნენ და ქვეყანა ვითომ ახალი, დემოკრატიული მშენებლობისკენ მიჰყავდათ და არა მარტო საკუთარ ხალხს, არამედ სხვა მოწინავე ქვეყნებსაც კი ეკეკლუცებოდნენ, აი, ნახეთ რას ვაშენებთ და ვინა ვართო! მნახველები მართლაც აღმოჩნდნენ, შეიცვალა თუ არა ის მოკეკლუცე მთავრობა, ახლებმა ძველების მიერ გათხრილი საძირკველი არასაიმედოდ მიიჩნიეს და ხალხში უკვე კარგა ხანია მოარული ხმები – ძველი მთავრობის სიყალბეზე და მოჩვენებითობაზე, უკვე საფუძვლიანი მტკიცებულებებით გაახმიანეს.

**შემზარავია იმის წარმოდგენა უღარიბესი ქვეყნისა და უსახსრობით თითქმის მათხოვრად ქცეული ხალხის პრეზიდენტი და მისი „ამალა“ თურმე ქვეყნის ბიუჯეტს ძვირადღირებულ სასტუმროებში, პირადი ნივთების შეძენაში, უცხოელი მზარეულების, მასაჟისტებისა დაქირავებაში ფლანგავდა. და ვინ იყვნენ ეს მფლანგველები, განა ისინი ადამიანები არ იყვნენ? დიახ, იყვნენ და არა რიგითი, არამედ ხალხის რჩეულები... სად და როგორ დაკარგეს მათ ადამიანურობა, ანდა, იყვნენ კი ისინი ადამიანები? იყვნენ, რა თქმა უნდა, აბა ხალხი როგორ აირჩევდა, მაგრამ, აი, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ადამიანი ერთია და ადამიანურობა სულ სხვა!**

უკვე კარგა ხანია, ჩვენი პატარა საქართველო პოლიტიკის საერთაშორისო არენაზე განსასჯელ ქვეყნად იქცა. ეს განსაკუთრებით მას შემდეგ ვიგრძენით, როცა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა და ახალი პოლიტიკური სტრუქტურით მის მშენებლობას შეუდგა. ახალი სტრუქტურა და სისტემა, რაც არ უნდა საუკეთესო, ევროპული თუ ამერიკული იყოს იგი, ცალკე სტრუქტურად დარჩება, თუ არ შეირჩევიან ისეთი ადამიანები, რომლებმაც უნდა იმუშაონ ამ სტრუქტურის ქვეყანაზე მოსარგებად. რაც მართალი მართალია, სტრუქტურას შედარებით ადვილად მიაგნეს, ადამიანებს კი ვერა! დრო მიდის და კვლავაც მწვავედ დგას სახელმწიფო აპარატებში სამუშაოდ შესარჩევი ადამიანების საკითხი.

იყო კარგი პოლიტიკოსი, თურმე, სრულებითაც არ ნიშნავს კარგ ადამიანობას და პირიქით, ყველა კარგი ადამიანი კარგი პოლიტიკოსი როდია. ხდება ისიც, რომ კაცმა მთელი თავისი ცხოვრება პოლიტიკის, ამ მეტად პოპულარული, მაგრამ ურთულესი დარგის მსახურებას მოანდომა. იგი მთელი ქვეყნის მოსახლეობის, საზოგადოების, ყურადღების ცენტრში იყო, ყოველ მის ნაბიჯს მილიონობით ადამიანი თვალს ადევნებდა, ერთი და იგივე საქმეს, ნამოქმედარს ზოგი უწონებდა, ზოგი უწუნებდა, ერთი სიტყვით, საზოგადოების აზრი არ იყო ერთმნიშვნელოვანი. როგორ უნდა შეაფასოს ანალიტიკოსმა ასეთი პოლიტიკოსი, როგორ ადამიანად უნდა წარუდგინოს იგი მომავალ თაობებს? ნუთუ ასე იტყვიან: **კარგი პოლიტიკოსი იყოო და მეტი არაფერი. სად არის ადამიანობა, იყო კი ეს კარგი პოლიტიკოსი კარგი ადამიანი, ანუ სად ვეძებოთ და როგორ გავიგოთ მისი ადამიანურობა? იგივე კითხვა მებადება ცნობილი, სახელგანთქმული პოეტებისა, მეცნიერებისა თუ სხვათა მიმართ.**

ინტერესი ადამიანის რაობის შესახებ არახალია, ათადან-ბაბადან მოგვდევს სურვილი ადამიანის შეცნობისა. დღეისათვის ბევრ რამეს მიაღწიეს შესაბამისი დარგების მეცნიერმკვლევარებმა, ბევრი რამ, ახალი და საინტერესო უთუოდ წინ ელოდება კაცობრიობას. მაგალითად, რას ვინატრებდი? ვინატრებდი და ვფიქრობ, რომ საინტერესო და სასარგებლო იქნებოდა ისეთი ხელსაწყოს შექმნა, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ არენაზე წარმოჩენილთა შორის პირუთვნელად შეარჩევდა ისეთებს, რომელთაც შეეძლებოდათ თავისი ქვეყნის მართვა არა მხოლოდ თავისივე ხალხისა და ქვეყნის სასარგებლოდ, არამედ კაცობრიობის სასარგებლოდაც, რომელთაც ადვილად ვერ აცდუნებდა ძალაუფლება, მომხვეჭელობა, ვერ დაძლევდა გამდიდრების სურვილი, არ ჩაეფლობოდნენ ირგვლივ მყოფთა თუ მოწინააღმდეგების მიერ მოწყობილ ინტრიგებში და ცხელი თუ ცივი ომების საშიშროებას ჭკუით, გონებით, დიპლომატიით აარიდებდნენ ჩვენს დედა პლანეტას. მაგრამ, ვაი, რომ ჯერჯერობით, არ არსებობს ასეთი ხელსაწყო და დღეისთვის უდიდეს მიღწევად ითვლება დემოკრატიული წყობილების პრინციპები, ანუ ვითარება, როდესაც ადამიანები საკუთარი ნებით ირჩევენ სასურველ კანდიდატურებს ქვეყნის სამართავად და ეს ხალხის რჩეულები, ამაღლებულ პოსტებზე, თანამდებობებზე შემდგარნი წარმოგვიდგებიან მთელი თავიანთი სიგრძესიგანით, თავიანთი ხასიათებით, ჭკუით, უნარით, ერთი სიტყვით, იმ მონაცემებით, რაზედაც რუსთაველი იტყოდა: „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების!“ და წარმოგვიდგებიან მხოლოდ არჩევანის გაკეთების გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც შეუდგებიან მოვალეობის შესრულებას. დიახ, მხოლოდ შემდეგ შეუძლია დაინახოს ამომრჩეველმა რას წარმოადგენს მისი რჩეული, რამდენად გონიერი, საქმიანი და ადამიანურია იგი.



რამდენი ჭკვიანი და სახელოვანი პიროვნება გვყავს მეცნიერების ამა თუ იმ დარგში, რამდენი დიდი პოეტი, დიდი მუსიკოსი, დირიჟორი, ლიტერატორი, მეცნიერი, მომღერალი, ექიმი, მხატვარი და სხვა მრავალი ცხოვრობდა და ცხოვრობს ამ ქვეყანაზე, თუნდაც დღევანდელი მოღვაწეები წარმოვიდგინოთ. რაოდენ საამაყონი არიან ისინი, რა შედევრები არ შეუქმნიათ და ამით გაუმდიდრებიათ და გაულამაზებიათ მშობლიური და ხშირად მსოფლიო კულტურისა და ხელოვნების ისტორია. მაგრამ ყოველივე ამის გამო, იმ სიდიადის გამო, რაც მათ ნიჭიერებამ შეაქმნევინა და გამოახატვინა, შეიძლება მათზე ითქვას ერთმნიშვნელოვნად, რომ ისინი იყვნენ და არიან ნამდვილი ადამიანები? თუ ისინი არ ექვემდებარებიან იმ კატეგორიას, იმ ჯგუფს, რომელთაგანაც ადამიანურობას მოვითხოვთ, ნუთუ საკმარისია ის ნიჭი, რაც მათ ბუნებამ და ზეციერმა უბოძა და ეს ჯილდო იმოდენაა, იმდენად მომხიბვლელიც, პატივსაცემიც, ღირებულიც, რომ „ადამიანობაც“ ეგ არის და ამაზე მეტი უკვე სხვა არა არის რა?

როდესაც ერთმა ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსმა ხელოვნების ნიმუშის შემქმნელ ერთ ოსტატს, რომელსაც უმშვენიერესი ლარნაკი გამოეძერწა, ჰკითხა: როგორ, რა იდეით შექმენი ეს მშვენიერებაო, შეკითხვა ვერ გაუგო ოსტატმა ფილოსოფოსს, რა ვიცი, ასეთი გამომივიდაო, და... დიახ, ხელობაში წუნს ვერ დაუდებ ლარნაკის მძერწავს, მაგრამ შეიძლება რაიმე ვთქვათ მის გონიერებაზე? ამ ხელოსნის ადამიანურ რაობაზე მსჯელობა იმ უზადო ლარნაკის მიხედვით ძნელია. ნიჭი, რომელმაც ხელოსანს ლარნაკი შეაქმნევინა, არის სულ სხვა უნარი, ვიდრე ადამიანობაა. და თქვენ წარმოიდგინეთ, შეიძლება სწორედ ეს „უგუნური“ ოსტატი გაცილებით მეტად ადამიანური აღმოჩნდეს ვიდრე ის გონიერი, რომელმაც კარგად იცის, რატომ, რისთვის, რა იდეით და მიზნით შექმნა ესა თუ ის ნივთი თუ ხელოვნების ნიმუში.

ადამიანურობის რაობის ძიებაში ყურადღება მივაქციე **სოკრატეს** სიტყვებს **ალკიბიადესთან დიალოგში.** იგი ჩამოთვლის სპორტისა თუ ხელოვნების ამა თუ იმ სახეობებს და ეკითხება მოსაუბრეს, ***„...როგორ გგონია, ყველა ამგვარი რამის მცოდნეს აუცილებლად გონიერს ვუწოდებთ, თუ ვიტყვით, რომ გონიერებას ბევრი უკლია?***

***ალკიბიადე: ბევრი უკლია, ვფიცავ ზევსს.***

***სოკრატე განაგრძობს: რა იქნებოდა სახელმწიფო, რომლის მთელი მოსახლეობაც სხვადასხვა სახის ხელოვნების მცოდნეთაგან იქნებოდა შემდგარი, ასევე „პოლიტიკური ბუშტუკებით გაბერილი რიტორებისაგან რომელთაგანაც არც ერთს არ ეცოდინებოდა რა არის უკეთესი და არც ერთი არ იქნებოდა იმის მცოდნე, თუ როდისაა უკეთესი თითოეული ამ ხელოვნების გამოყენება, ან ვის მიმართაა უკეთესი.“*** „ვაი ამ სახელმწიფოს ბრალიო“, ეპასუხება ალკიბიადე. სოკრატე ნავთს ასხამს ცეცხლზე, ამძაფრებს ალკიბიადეს წარმოსახვას და ეუბნება მას, რომ უარესსაც იტყოდიო, ***„რომ დაგენახა, თუ როგორ ეჯიბრებიან ისინი ერთმანეთს პატივმოყვარეობაში“... ცდილობენ თვითვე აღემატონ თავიანთ თავს,.. ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწიონ თავიანთი ხელოვნების თანახმად, რადგან, ის, რაც უკეთესია ქალაქისა და თვითონ მათთვისვე, მცდარად ესმით და ამიტომ მიუწვდომელი რჩებათ, ვინაიდან უგონოდ ენდობიან წარმოდგენასა თუ შეხედულებას. ასეთი სახელმწიფო შფოთითა და უკანონობითაა სავსეო“*** ასკვნის სოკრატე ალკიბიადესთან ერთად. საბოლოოდ ამ საუბრით ბრძენი სოკრატე გვასწავლის, რომ თუ ადამიანი გადაჭრით აკეთებს იმას, რაც არ იცის და ამ დროს ჰგონია, რომ იცის, მისი მოქმედება იქნებოდა მავნეო, გარდა ამისა, **ყველა ცოდნის შეძენა „სიკეთის ცოდნის გარეშე მავნეა მათი მფლობელისთვისო“**. ასეთი კაცი უღირსი კაციაო ... (პლატონი – ადრეული დიალოგები, ტ. 2, 2013, გვ, 40, 41)

საოცარია პირდაპირ! პლატონი თითქოს დღევანდელი ქართული პოლიტიკური სინამდვილის მცოდნეა და ამ ცოდნით იგონებს და ახმიანებს იმას, რაც ერთ დროს დიდი პედაგოგისგან – სოკრატესაგან მოუსმენია. ძვირფასო მკითხველო, ყველანი ერთად ვხვდებით, რომ აქ არის სწორედ სოკრატეს სიდიადე, ყველა ეპოქას სწვდება მისი აზროვნება! თორემ რა იცოდა იმ უძველესი და უცნაური საუკუნის დიდმა ფილოსოფოსმა ოცდამეერთე საუკუნის პლანეტის ერთ პატარა წერტილში, თუ **როგორ ეჯიბრებიან ერთმანეთს პატივმოყვარეობაში, თუ როგორ მცდარად ესმით ის, რაც არ ესმით, თუ როგორ უგონოდ ენდობიან საკუთარ წარმოდგენასა თუ შეხედულებას და სწორედ ამიტომ, შფოთითა და უკანონობითაა სავსე ჩვენი სახელმწიფო...**

ამის შემდეგ ვთამამდები და ადამიანში ადამიანურობის ერთ-ერთ თვისებად მივიჩნევ ცოდნის გამოყენებას – „სიკეთის ცოდნით“. სოკრატესთან მისვლამ ძალიან გამირთულა ადამიანში ადამიანურობის არსის გარკვევა, იმდენად მრავალმხრივი და მრავლისმომცველია იგი. რის მიხედვით ვიმსჯელოთ ადამიანურობის შესახებ? მოდი, დავეყრდნოთ ჩვენ თავს, საკუთარ შეხედულებებს, ჩვენს ცოდნას და ზოგჯერ ავტორიტეტების მოშველიებით ვისაუბროთ ისე, როგორც შეგვიძლია და როგორადაც მიგვაჩნია მართებულად. ვფიქრობ, რომ „ადამიანურობის“ არსი ადამიანის მორალსა და ზნეობრიობაში მდგომარეობს. სოკრატე თავისი ცხოვრებითა და აზროვნებით თავადვე იყო მაგალითი ადამიანურობისა. **როგორც ბაჩანა ბრეგვაძე გვეუბნება, ქურუმი ევთიფრონის ადამიანურობა, რომელიც ეყრდნობა სამუდამოდ დადგენილ ადათებს, კანონებს, სარწმუნოებას, ტრადიციას, მიუღებელია სოკრატესთვის, რომლისთვისაც „ბრმა რწმენა კი არა, მხოლოდ ცნობიერი ქცევაა მორალური, მხოლოდ რაციონალურ შემეცნებას შეუძლია მყარ საფუძველზე დააფუძნოს ზნეობრივი ქცევის ნორმები.“**

რუსთაველმა, მეთორმეტე საუკუნის გენიალურმა პოეტმა მთელი გალერეა დაგვიხატა ადამიანებისა, რომელთა გრძნობები და მათ მიერ ჩადენილი საქმენი საგმირონი გვაძლევს უფლებას, თამამად დავახასიათოთ ისინი, როგორც სრულყოფილი ადამიანები და მათი ლიტერატურული პორტრეტები, როგორც ადამიანურობის განმასახიერებელი პირები, სამაგალითო გავხადოთ არა მარტო ქართველი ხალხისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის. მაინც, რას თვლის რუსთაველი ადამიანურობის საწყისად მაშინ, როდესაც ძალიან კარგად იცის ადამიანის ბუნების მრავალფეროვნების შესახებ, განა რუსთაველი არ ამბობს, რომ **„გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი“,** დიახ, იცის, რომ ადამიანი თუნდაც მოყვარე, შეიძლება მტრად გექცეს და მაშინ ხომ „მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია“. ზოგჯერ არა მხოლოდ „მოყვარე მტერი“, არამედ კაცი საკუთარი თავის მტერიც კი არის, და ამ დროს, ასეთ შემთხვევაში **„მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომე კაცი თავსა ივნებს.“** ისიც კარგად იცის ფილოსოფოს პლატონისაგან, რომ ადამიანის დამახასიათებელ უამრავ უარყოფით თვისებებს შორის გამოირჩევა „სიცრუე და ორპირობა“, რომელიც „ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“, რომ „ყოვლისა უბადობის თავია სიცრუე“.

„ხარბი და გაუძღომელი“ გულის ადამიანები ცხოვრობდნენ, ცხოვრობენ და, ალბათ, მომავალშიც იცხოვრებენ. მაგრამ საქმე ის არის, რომ დღევანდელ რეალობაში თანამდებობრივ პოსტებზე მათმა მოხვედრამ დიდი ზიანი მოუტანა ჩვენს ხალხს და ჩვენს სახელმწიფოს. **ამ ათიოდე წლის წინათ ვინ წარმოიდგენდა თუ ახალგაზრდა, ნიჭიერი კაცი, რომელიც იმთავითვე გმობდა მომხვეჭელობას, მექრთამეობას, განდიდების სურვილს, თანამდებობის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებას, თავადვე გახდებოდა ყოველივე ამის მსხვერპლი?** მაშ, რა ვქნათ, ვეძებოთ და როგორ მივაგნოთ ადამიანურს ადამიანში, რა და ვინ დაგვამარცხებინებს ცრუსა და ორპირებს? თუ მხოლოდ ფილოსოფოსთა დიალოგებში და მხატვრული ლიტერატურის გმირებში ვპოვოთ საშველი? ლიტერატურა მართლაც არის შვების მომგვრელი და თქვენ წარმოიდგინეთ დიდი იმედიც...

დიდი ბედნიერებაა მხატვრული ლიტერატურა განსაკუთრებით მაშინ, როცა იქ აღმოაჩენ იმას, რასაც მთელი ცხოვრების მანძილზე ნატრობ... ნატრობ და ცდილობ, რომ სინამდვილეშიც, ყოფიერების გრძელ თუ ხანმოკლე გზაზეც დაიმგზავრო ისეთი ადამიანები, რომლებსაც აქვთ „ენა ტკბილად მოუბარი“, რომლებმაც კარგად იციან, ზოგჯერ თქმა რომ სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების, იციან, რომ „უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან“ და „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ქვითკირსა“. ერთი სიტყვით, მინდა ყველამ დავიმგზავროთ, ხშირად წავიკითხოთ რუსთაველი და ვფიქრობ, რომ მაშინ ნამდვილად მივხვდებით, რა არის ადამიანობა და რა დიადია მისი ძალა.

ჩვენი დღევანდელი ცხოვრებით დამძიმებული ისე მოვეკიდე ჩემს საყვარელ ლიტერატურას, როგორც წყალწაღებული ხავსს. ძალიან ცუდი შედარება გამომივიდა, მაგრამ რეალობა კიდევ უფრო ცუდია და სასტიკი. განცდა იმისა, რომ შენი და შენი ხალხის რჩეული მხოლოდ თავის ქვენა გრძნობებს აყოლილი, ადვილად გაგიმეტებს, გაგწირავს, – გულს მისერავს, მომავლის იმედს მიბუნდოვნებს, ახლების (ახალი მთავრობის) ნდობას მიკარგავს. მაგრამ მაინც ვეძებ ნათელ, გონიერ ადამიანურ და კაცთმოყვარე ადამიანებს, რადგანაც ყურში კარგად ჩამესმის შოთას შემოძახილი: ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია! ვინძლო მოყვრად ექცეს ხალხს ის ადამიანები, რომლებიც გზის მკვლევარებად მოგვევლინებიან, არადა, სავალალოდ უფსკრულისკენ კი მიგვაქანებენ...

**გულნარა სტურუა**



# „ამბავნი ქართლისანი“– ნადირობა „შავი ხის“ სანახებში

**პაპუნა ორბელიანის XVIII საუკუნის „ამბავნი ქართლისანი“ ცხადია, ამ ამბავს არ მოგვითხრობს. ამიტომ, გადავწყვიტე ეს „ხარვეზი შავავსო“, და ნადირობის სეზონის საბაბით, ერთი „უცნობი ამბავი“ მეც შემოგთავაზოთ.**

**შუაწელი** თრიალეთის პირაქეთა კალთებს, თეძმის ხეობის გავაკებაზე, ემიჯნება საკაცეთი — ერთი უძველესი სოფელი, რომელსაც გარდასულ დროთა სიავემ ქართული სახელი დაუკარგა. ბევრს გაგონილიც ექნება, მაგრამ სახელნაცვალი, ბგერათა უცნაური შეხამებისა და არასასიამოვნო ჟღერადობის გამო, ალბათ, არასწორი დასკვნების საგნად ქცეულა, მეტის გაგებას კი არავინ გამოსდევნებია.

სოფელს ყარალაჯი ჰქვია, რაც, სავარაუდოდ, „შავ ხეს“ ნიშნავს. წინაპართა გადმოცემით, შემოსეულ მტერს იქაურობა გადაუწვავს. ერთი უზარმაზარი თელა, ტოტებშემომწვარი და შავად შერუჯული, შემოსეულთათვის ადგილის მიმანიშნებელ საგნად ქცეულა, როგორც ადვილად მისაგნები და თვალშისაცემი რამ. მას შემდეგ სოფელსაც ეს სახელი დაერქვა — „ყარა ლაჯი“, „შავი ხე“.

პატარა დრამა, რომლის მონაწილეც თვითონ ვიყავი, ამ სოფლის სანახებში მოხდა. არაჩვეულებრივი, თითქოს არაფერი იყო. მაგრამ, გარემოებათა დამთხვევისა თუ სხვა მიზეზების გამო, მომხდარმა ჩემში ძლიერი ემოცია გამოიწვია, დამაფიქრა, და იქნებ ამ მონათხრობის შემდეგ, ზოგიერთი ნაკლებსაყურადღებო მოვლენა თუ შემთხვევა, სხვებისთვისაც მეტი ყურადღების და განსჯის საგნად იქცეს.

* * *

**ნადირობის** მოყვარულს, ალბათ, აღმოჩენად არ ჩაეთვლება სოფლის სანახებში ქორ-ძერის უჩვეულო სიმრავლის შემჩნევა. ახლომახლო სხვა ჯიშის მტაცებლები არ ჭაჭანებენ და სოფლის შემოგარენი, თეძმის ხეობის მიმდებარე ადგილები და მთის ფერდობთა გავაკებანი ფრთოსანი მტაცებლების ველური ბუნების ასპარეზად ქცეულა. საყურადღებო ის არის, რომ უმწეო ფრინველები, ამავე ველების მკვიდრი გვირილა, ქედანი თუ გვრიტი, სხვა პაწია ჩიტუნები, გაცილებით ნაკლებად უფრთხიან ადამიანებს, მათ სიახლოვეს ისე არ ერიდებიან, როგორც ეს მტაცებლები.

საფიქრებელია, რომ ქორისებრთა ოჯახის ლეშიჭამიები, მათზე თავდასხმას მიუჩვეველნი, ვინმეს ან რაიმეს მიახლოებას არაბუნებრივად აღიქვამენ, ორგანულად ვერ ეგუებიან ამას და გამოუცნობის მიმართ შიში აფრთხობთ. ბალახისა და მწერიჭამია ფრინველებს კი გაჩენის დღიდან ემტერებიან როგორც ქორდიანების მოდგმის, ისე კაცთა მოდგმის მტაცებლები, სიფრთხილის ინსტიქტი კი ასე საპირისპიროდ აქვთ განვითარებული და ეს არაბუნებრივად ჩანს. ერთი სიტყვით, ქორისებრთა მოკვლა ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი, რადგან მკვლელობის იმდენი ხერხი და გამოცდილება არსებობს, რომ სულ ახლისა და ახლის მიგნებაში ადამიანის ფანტაზიას, ალბათ, ტოლს ვერაფერი დაუდებს. სექტემბრის ერთ საღამოს ამაში სულ უბრალოდ დავრწმუნდი.

ნადირობით დაქანცული სამ ამხანაგთან ერთად სოფლისკენ ვბრუნდებოდი. დაღლილები ვიყავით, მაგრამ თვალი მაინც აქეთ-იქით გაგვირბოდა. გზის პირას გაშლილ სიმინდის ყანაში კი სუსტ ნიავს აყოლილი მოქნილი ფოთლები იდუმალ შრიალს გამოსცემდნენ და თითქოს მწვანე სიგრილეში თავშეფარებულ მწყერს სთავაზობსო, თავისკენ გვიზიდავდნენ.

ცდუნებას ვერ გავუძელით, გზიდან გადავუხვიეთ და ყანას შევერიეთ.

გრძელი, მწვანე ფოთლების შრიალი, თურმე, სიურპრიზს გვთავაზობდა.

სულ ახლოს რაღაცამ შეიფრთხიალა, მზერა ხმაურის წყაროსკენ გამექცა და თვალი მოვკარი ცისკენ გაჭრილ ორ ქედანს. იმავე წამს გაისმა სროლის ხმაც — ჩვენს შორის ყველაზე მარჯვემ და აზარტულმა, რა თქმა უნდა, არ დააყოვნა.

ასე დაიწყო და გადაება ერთმანეთს მოულოდნელობათა ჯაჭვი, იმ „ჩვეულებრივი“ მოულოდნელობებისა, ნადირობის დროს რომ გადაეყრება კაცი, როცა დაძაბული აზრი და დატენილი ვაზნა, ერთი-მეორის მიყოლებით ფეთქდება და მონადირე ნადირობის ქალღმერთის აზარტული ვნების იარაღი ხდება.

მიზანში ნასროლმა ტყვიამ ერთი ფრინველი ბელტივით — მოწყვეტით დაუშვა მიწაზე. მეორე, ცალად დარჩენილი კი ნაცვლად იმისა, რომ იქაურობას გასცლოდა, მკვეთრად შემობრუნდა, მიწისკენ დაქანდა, თითქოს თავის დაკოდილ მეგობარს დაედევნა. შემდეგ, ჩვენკენ წამოვიდა — თავზე გადაგვევლო, ისევ შემობრუნდა, შურდულივით გაიელვა ჩვენ წინ.

ფრინველის უმწერო რისხვისა და მუქარის შემცველმა, გაბედულმა შემართებამ გაგვაოგნა... გადარჩენილი ყოველთვის გარბის, ეცლება სახიფათო ადგილს. ამ ცხოველურ, ბუნებრივ ინსტინქტს ზოგჯერ ადამიანიც ემორჩილება. აქ კი... არავითარი შიში, არავითარი ინსტიქტი გადარჩენისა. მისი მოკვლა კი თავისუფლად შეგვეძლო.

არც ერთ ჩვენგანს სროლა აღარ უცდია. ვიდექით და უხმოდ შევცქეროდით ამ გიჟურ ფრენას — თავაწყვეტილსა და სასოწარკვეთილს. შევცქეროდით და თანდათან სიცხადე ეფინებოდა ჩვენ აგზნებულ გონებას... დაბნეულები ახლაღა მივხვდით, რომ ეს იყო „შინაური“ მტრედი, ადამიანს შეჩვეული და მისი სისასტიკით თავზარდაცემული.

ჩამოვარდნილი მტრედი მოვძებნეთ. ნადავლის პატრონმა ის ხელში აიყვანა, ჩვენც მივუახლოვდით და სანახაობამ შეგვზარა: ორი წითელი წერტილი მოგვჩერებოდა, სისხლით დაფარული თვალის გუგები მოძრაობდნენ, თითქოს ჩვენ გვათვალიერებსო. თავზე, თვალებში ნატყვიარი არ ჩანდა, ფოსოები კი სისხლით ჰქონდა სავსე. ელვარე სისხლიან მასაში ჩვენი წითელი ანარეკლი ჩანდა.

ეს ანარეკლი მალე დაიბინდა და ჩვენი გამოსახულება სიკვდილმა წაშალა. მოძრავი წითელი წერტილები გაიყინა...

ყანიდან გამოვედით. ირგვლივ ბუნების მძლავრი სუნთქვა იგრძნობოდა. სიცოცხლისადმი უსაზღვრო ტრფიალს ასხივებდა ცა, ველი, ხე თუ ბუჩქი, მინდვრის უთვალავი ყვავილი. ჰორიზონტისკენ საკმაოდ გადაწეული მზე კი სინათლედ იღვრებოდა და ყველას და ყველაფერს სიცოცხლისაკენ მოუწოდებდა.

ამას დანახვა უნდა, და როცა დაინახავ, უთუოდ გაოცდები, რომ ამ სილამაზეს, თურმე, შექმნის დღიდან დაენათლა სიკვდილი, და ეს მისი არსებობის წესი გახდა.

სიკვდილ-სიცოცხლის და სილამაზის ერთდროულად მატარებელ სიმბოლოდ იქცა მტრედიც. ცალად დარჩენილი ის ისევ „იმ ადგილს“ დასტრიალებდა, ოღონდ უფრო ამაღლებულიყო ცაში, ჩვენ გაგვრიდებოდა, მაგრამ წასვლასაც არ ეშურებოდა, არ ეთმობოდა...

საიდანღაც ძერა გამოტყვრა. თავიდან ჩვენი ყურადღება არაფრით მიუქცევია, მაგრამ ფართო ფრთები მძიმედ რომ შეარხია და უმწეოდ მოფარფატე მტრედისკენ წამოვიდა, ჩვენც შევამჩნიეთ. ახალი ნადირობა იწყებოდა, უნდა აღსრულებულიყო ბუნების მეტად ჩვეულებრივი წესი — ერთი სიცოცხლის ფასად, გაგრძელებულიყო მეორე.

თვალწინ ისევ სისხლიანი წერტილები ამოძრავდა... მაგრამ, ამჯერად ყველაფერი უსისხლოდ დამთავრდა. მტრედმა მტაცებელი როგორღაც, იოლად ჩამოიშორა და სადღაც გადაიკარგა.

ხელმოცარული ძერა კი ჩვენგან შორიახლოს დაეკიდა ცაში. სუსტ ნიავს მინდობილი გაშლილ ფრთებს არ არხევდა. მცხუნვარე მზისგან გახურებული მიწიდან, ზევით წასული თბილი ჰაერის ნაკადი ამის საშუალებას აძლევდა, და ისიც იყენებდა დედამიწის გოლიათურ სუნთქვას.

ასე მოცურავდა ჩვენკენ, თითქოს ფრთების შერხევა ეზარება, გარინდებიდან გამოსვლა უჭირსო. ამ მონოტონურობაში ვიგრძენი, რაღაც მზადდებოდა...

ალბათ, ყველას ერთმა აზრმა გაგვიელვა — აშკარა იყო, რომ უძრავ საგნებს ჰაერში ძერა არ უფრთხოდა და ჩვენ, შესანიშნავი საშუალება გვეძლეოდა მისი მოკვლისა. ასეთი სურვილი კი ყველას გაგვიჩნდა. დრო აღარ დაგვიკარგავს, კონდახები მხრებზე მოვირგეთ და გავირინდეთ.

ფუტკრების საამო ზუზუნი ისმოდა. დედამიწა მშვიდად სუნთქავდა.

ეს მოჩვენებითი სიმშვიდე, რომლის სრულ ჰარმონიასაც მხოლოდ ჩვენი იქ ყოფნა ამახინჯებდა, უნდა დარღვეულიყო. ჩვენი დაძაბული მზადყოფნა ახლა უკონტროლოდ იყო მინდობილი მოვლენათა მსვლელობას და... დაძაბულობაც განიმუხტა.

ოთხი ვაზნა დაიცალა, ერთბაშად გაცხელდა ოთხი ლულა. მყუდროება საშინელმა ბათქმა დაარღვია. ზედიზედ ნასროლ ტყვიათა დაჯახებისაგან მტაცებელი შექანდა, შეტოკდა. დადუმდა ბოლოს ნასროლი თოფი და თითქოს უკანასკნელი „საყრდენი“ გამოეცალა ჩვენს მსხვერპლს: ოთხივეს დაძაბული მზერა ერთი წერტილისკენ იყო მიმართული და ცხადად აღვიქვით, რომ პირველივე გასროლა სასიკვდილო იყო, დანარჩენმა სამმა კი მხოლოდ შეაყოვნა მისი ძირს ვარდნა და სიკვდილის მატარებელმა ტყვიებმა, „საყრდენებად“ ქცეულებმა, ჰაერში ყოფნა გაუხანგრძლივეს უძალო სხეულს... ეს სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა.

ასე დამთავრდა ჩვენი ნადირობა.

მაგრამ მკითხველი ამ „მკვლელობის“ გამოცდილების გაზიარებისთვის არ შემიწუხებია. მინდა, ის სულ სხვა რამეს ჩაუფიქრდეს...

სროლის ხმაზე მახლობელ ბუჩქნარს მოწყვეტილი ბეღურების ვეება გუნდი მარაოსავით გაიშალა და მოკრიალებული ცის ფონი მოძრაობის - სიცოცხლის მატარებელი ამ ულამაზესი ფორმით შეივსო.

ბეღურებმა ჩვენს თავზე ფართო წრე შემოხაზეს, დაგვჭყივლეს და სამხრეთით, თრიალეთის მთების ნისლნარევ სილურჯეში გაუჩინარდნენ.

სიცოცხლისა და სიკვდილის ამ საოცარ ასპარეზზე მარტონი დავრჩით.

ამ მინდვრების მკვიდრი, პატარა არსებებისგან დაცლილი ველის გარინდებას ჩვენი იქ ყოფნა ვერ ავსებდა. თითქოს სოფელიც, მთელი მისი შემოგარენიც გაუკაცრიელდა. ფუტკრების ზუზუნიც აღარ ისმოდა. ბეღურების ჭყივილ-ჟივჟივი კი კვლავ ჩამესმოდა და თითქოს დაკარგულს ეძებსო, მთების ფერმკრთალ სილურჯეს მიბჯენილ მზერას, გონების აკვიატებულ აზრს რომ გაეყინა, თვალი ვერ წავართვი. იქ, ფიქრნარევ ბურუსად ქცეულ უსახო სივრცეში ერთ დროს გადამწვარი ჩემი სოფლის მომხდურებისა და აყრილი, აწიოკებული ადამიანების ლანდებს ვეძებდი...

უცნაური რამ ხდებოდა. ირგვლივ ყველაფერი გამარტივდა, გულის ამაჩუყებლად უბრალო და ძვირფასი გახდა. ამ მოჩვენებით სიმარტივეში მოვლენებმა და საგნებმა სულ სხვა აზრი და თვისება შეიძინეს, იმაზე მეტი, ვიდრე ამას თვალი, სმენა და გონება აღიქვამდა ამ წუთამდე, და გაერთიანდნენ: სულიერი და უსულო, ფერი, ფორმა და ხმა, სამშობლო და სიყვარული - ერთ მცნებად იქცა... სოფელი. ამ სიტყვამ ყველა სხვა მცნება დაიტია, რაიმეს დამატება ან გამოკლება შეუძლებელი იყო. მხოლოდ ასე წარმომედგინა ადგილი, სადაც ვიდექი.

ეს ჩემი „აღმოჩენა“ იყო.

აღმოჩენაა, როცა პატარა სოფელში მთელ სამყაროს დაინახავ და დიდი სიყვარული უმნიშვნელო საგნებში დაკონკრეტდება.

სოფელი ყარალაჯი. საქართველოში ბევრია სახელნაცვალი ქართული დასახლება. ერთი მათგანი თრიალეთის გავაკებაზე, თეძმისპირა უძველესი სოფელია. ის სულაც არ არის ზერელე დასკვნების გამოტანის ღირსი. პირიქით, მისი სახელი ბევრ რამეზე მიგვანიშნებს.

ამაღელვებელია ერთი აქაური თქმულება: ყველა დაღუპული ქართველი მეომარი, რომელიც უწინ ამ ადგილებში იბრძოდა, თურმე უწყინარ ფრინველად იქცა და თავის ნაფუძვარს ახალ ბინადრად მოევლინა. მათი ხელით განგმირული ყოველი მომხდური კი ყვავ-ყორნად ქცეულა.

ნუ გაგიკვირდებათ მათი სიმრავლე ჩვენს სოფლებში.

მინდა, ყველამ იცოდეს: თუ სადმე შეამჩნევთ ყვავ-ყორნისა და ქორ-ძერის სიმრავლეს, გჯეროდეთ თქმულებისა, იცოდეთ, რომ ამ ადგილებში ჩვენს წინაპრებს დიდი ბრძოლები ჰქონიათ. გმირულად დაღუპულნი კი თვალისა და სმენის დამატკბობელ ლამაზ, უწყინარ ფრინველად ქცეულან. ეს სილამაზე მათი ხსოვნაა და ეხლა ჩვენგან თხოულობს დაცვას, ამიტომ არ გვერიდებიან.

კარგად დააკვირდით, მოუსმინეთ — ამას თქვენც აღმოაჩენთ.

**ნუკრი მიხანაშვილი**

## ლეგენდა დროში

**სპორტის ზამთრის სახეობები ჩვენში ნაკლებად პოპულარულია, მაგრამ კაცმა, რომელსაც „მფრინავი ტორპედო“ შეარქვეს, ტრამპლინიდან ხტომაში უდიდეს წარმატებას მიაღწია და გასული საუკუნის 50-60-იან წლებში საყოველთაო აღიარება მოიპოვა.**

**კარიერის მანძილზე მან 54 შეჯიბრებაში გაიმარჯვა, ათობით ქვეყანა მოიარა, უცხოეთში ერთ-ერთ ასეთ ასპარეზობაზე კი მისი ნახტომი სახელგანთქმულმა ამერიკელმა მწერალმა და პოეტმა ჯონ აპდაიკმა იხილა და შთაგონებულმა ლექსიც მიუძღვნა:** Tsokadze O Altitudo **— „წაქაძე ან სიმაღლე“, რომელიც ასე მთავრდება:** Ah, c’est beau, when Tsokadze skies! **— ოჰ, რა ლამაზია, როდესაც წაქაძე ჰაერშია!**

**1960 წელს, სკვო-ველის ოლიმპიადის მიმდინარეობისას, ჟურნალ „ნიუ იორკ თაიმზის“ ჟურნალისტი თორლიფ შელდრაპი წერდა: „წაქაძემ თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომის ახალი სტილი მოიგონა, ალბათ, თავისდაუნებურად. ჰაერში ის საერთოდ არ იხრება წელში. მისი სხეული გამართული და მოშვებულია. ის ისე იხრება წინ, რომ მისი სახე თითქმის თხილამურების წვერებს ეხება, ხელები სხეულის გასწვრივ უწყვია, თავი მაღლა აქვს აწეული. თხილამურის სამაგრები ისე აქვს მოჭერილი, რომ მხოლოდ ფეხის წვერებით ეხება თხილამურების ზედაპირს. ის ძალიან შორს ხტება და მისი ფრენა საოცრად ლამაზია“!**

**ის ტრამპლინიდან ხტომის მშვენებაა და მშობლიურ ბაკურიანში კობა წაქაძის სახელობის ქუჩაზე ცხოვრობს.**

**გუშინ, ფერისცვალების დღეს ლეგენდა, რომელმაც 4 ოლიმპიადაზე „იფრინა“, 80 წლის გახდა. ვულოცავთ!**



# მან ოთხ ოლიმპიადაზე „იფრინა“

...„განკულაკებული“ ოჯახის შვილი ვარ. მამაჩემი ვარდენი განათლებით ქიმიკოსი იყო და მეორე მსოფლიო ომში არ გაუშვეს, ეშინოდათ, გაიპარებაო. ამიტომ გადაასახლეს. 1942 წელს დაბრუნდა, მაგრამ უკვე ძალიან მძიმედ იყო ავად ტუბერკულოზით. პირველი თხილამური სწორედ მამამ მიყიდა — დედაჩემის მოქსოვილი სვიტერი ბაზარში გაყიდა და... ორ დღეში გარდაიცვალა კიდეც.

...ბიძაჩემი, დედაჩემის ძმა ძალიან კარგად იდგა თხილამურზე. პირველად მან მასწავლა სრიალი, თუმცა იმის გამო, რომ იმ დროს თავშესაფარზე ფიქრი გვიწევდა და ნათესავიდან ნათესავთან გადავდიოდით, თხილამურზე ნაკლებად ვფიქრობდი.

...მეორე მსოფლიო ომის წლებში ჩვენთან ბაკურიანში, ასევე ახალქალაქში, ახალციხეში, ნინოწმინდაში და სხვაგანაც კარგა მოზრდილი სამხედრო ნაწილები იდგა — საბჭოთა კავშირის ხელისუფლება თურქეთიდან გერმანელების შემოჭრის ეშინოდა და საზღვარს იცავდა. ჰოდა, ჩვენი, ბავშვების მთავარი გასართობი სწორედ სამხედროები იყვნენ — სადაც წავიდოდნენ, ყველგან დავყვებოდით. ხანდახან თავლების დალაგებაში ვეხმარებოდით, ცხენებს ვუბანდით, სამაგიეროდ კი ისინი საჭმელს გვაძლევდნენ — შვრიას! ჰოდა ამ შვრიას რძეში დაალბობდა და... ეს ჩვენთვის ნამდვილი დელიკატესი იყო! თავის მხრივ, ბებიაჩემი და დედაჩემი სამხედროებს პატივისცემას არ აკლებდნენ — ხან ხილს უგზავნიდნენ, ხან არაყს.

...ჩვენთან, ბაკურიანში პირველი ტრამპლინი 1934 წელს ააგეს. მაშინ საქართველოს სპორტკომიტეტში ზამთრის სახეობათა კურატორი ცნობილი ალპინისტი სანდრო გვალია იყო და ტრამპლინი სწორედ მისი ინიციატივით მოეწყო. ჯარისკაცებთან ერთად ხშირად დავდიოდი იმ ტრამპლინზე... სხვათა შორის, ერთხელ სამხედროს თხილამური არაყში გავუცვალე — ეს იყო ჩემი პირველი „ნამდვილი“ თხილამური!

...ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ვიქნებოდი ასე 7-8 წლის. მაშინ ბაკურიანში ხშირად ისვენებდნენ ბერიას, კაგანოვიჩის, მოლოტოვის და სხვა მაღალჩინოსნების მეუღლეები, ტყესთან პატარა სახლი იდგა და იქ ცხოვრობდნენ. სადილს რომ მორჩებოდნენ, სპეციალურად არ ყრიდნენ, იცოდნენ, რომ მე და ჩემი მეგობრები, პატარა ბაკურიანელი ბიჭები სადღაც იქვე, ახლო-მახლო ვიყავით ჩაცუცქულები და ველოდებოდით, როდის წავიდოდნენ. მერე კი, როცა დაცვა გვანიშნებდა, გიჟებივით გავრბოდით საჭმლის ნარჩენების ხელში ჩასაგდებად. მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ გავიდოდა დრო და ტოკიოში იმპერატორ ხიროხიტოს აპარტამენტებში მომიწევდა ცხოვრება.

...ერთხელ სკოლიდან იმის გამო მრიცხავდნენ, რომ ზამთარში შენობის სახურავიდან გადმოვხტი. ქართულის მასწავლებელმა დამიცვა, რატომ რიცხავთ, ცოცხალი ბავშვია, სხვებივით კი არ ძინავს გაკვეთილზეო!

...წლების მერე, როცა გავიზარდე და უკვე სერიოზულად დავიწყე ტრამპლინიდან ხტომაში ვარჯიში, რამდენიმე საათს ვატარებდი აქ. დღეში 20-25 ნახტომს ვასრულებდი, მაგრამ ყველაზე მეტად ტრამპლინის კიბეებზე ასვლა მეჯავრებოდა — ძალიან ვიღლებოდი!

...თბილისში პირველად ჩამოსული დიდ „შარში“ გავეხვიე: 5 ცალი ნაყინი ვიყიდე, საიდანაც 4 ჯიბეში ჩავიდე. სანამ ერთს ვჭამდი, დანარჩენი დადნა და შარვალი დამისველა. ვიფიქრე, გამყიდველმა მომატყუა-მეთქი და მასთან საჩხუბრად მივბრუნდი... ამ ისტორიაზე შვილებს და შვილიშვილებს დღემდე გულიანად ეცინებათ.

...ბავშვობაში, როცა ბაკურიანის გარშემო მწყემსად დავეხეტებოდი, არწივების მელიებზე და კურდღლებზე ნადირობას ვაკვირდებოდი. გამოჩნდებოდა ცაში წერტილი, ჯერ ტრიალებდა, მერე კი, როცა მინდორში მსხვერპლს დაინახავდა, ფრთებს სხეულზე მიიკრავდა, კისერს გაჭიმავდა და ტყვიასავით დაეშვებოდა. ერთხელ, ვარჯიშის დროს სწორედ ეს სურათი გამახსენდა და სხეულის გასწვრივ დავიდე ხელები. აშკარად უკეთესი ნახტომი გამომივიდა და მას მერე ეს ჩემი სტილი გახდა. პირველივე საერთაშორისო შეჯიბრებაზე ასე გადმოვხტი და აღმოჩნდა, რომ პირველი ვყოფილვარ, ვინც ეს გააკეთა. მერე ასეთ სტილს „წაქაძის ნახტომი“ უწოდეს. არ ვაჭარბებ, მართლა ასე იყო — ავსტრიელი, გერმანელი, ამერიკელი და შვეიცარიელი ჟურნალისტებიც ზუსტად ასე წერდნენ — „წაქაძის ნახტომიო“...

...შიში? არა, ხტომის არასდროს მეშინოდა, პირიქით, ფრენა დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. ყოველი სტარტის წინ, როცა გავიგონებდი „კობა წაქაძეო“ და ხალხის ტაში მესმოდა, თავს შევუძახებდი, კობა, თავითაც რომ დაერჭო, მაინც შორს და ლამაზად უნდა გადახტე-მეთქი! აი, სულ ეს იყო და ეს. ახლა რომ ვიხსენებ, ჩემი ცხოვრება ისე აეწყო, რომ წავქცეულიყავი, გულშემატკივრები მაინც ხელში აყვანილს გამიყვანდნენ არენიდან.

...ჩემი პირველი დიდი შეჯიბრება სოფლის ახალგაზრდობის საკავშირო პირველობა იყო, რომელიც დაბა იახრამაში ჩატარდა. პირველი ადგილი დავიკავე და იცით ვის ვაჯობე? არამ ადამიანცს, რომელიც ჩემი მწვრთნელი იყო! დასრულდა თუ არა ის შეჯიბრება, ადგა არამი და თავისი თხილამური მაჩუქა — „მოსწავლე რომ გაჯობებს მასწავლებელს, კი უნდა დაანებო თავი სპორტსო“, — ასე მითხრა.

...იახრამის მერე მოსკოვში გავემგზავრე, ახლა არც მახსოვს რა შეჯიბრება იყო. თავიდან არ მიშვებდნენ, სოფლიდან ჩამოსულს აქ არაფერი ესაქმებაო, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვიასპარეზე და ადამიანცის თხილამურით მეოთხე ადგილი რომ დავიკავე, სხვა თვალით შემომხედეს — არმიის სპორტული კლუბის ბაზაზე დამტოვეს ქალაქის ნაკრების შეკრებაზე.

...იახრამაში გამარჯვების შემდეგ, 1953 წლიდან დაწყებული, საქართველოში ფული აღარ დამიხარჯავს — ჩვენთან საბჭოთა კავშირის სპორტის კომიტეტის ხარჯით ვცხოვრობდი და ვმოგზაურობდი. მერე, როდესაც „დიდი კობა წაქაძე“ გავხდი, ჩემთვის სპეციალურ ბიუჯეტს ადგენდნენხოლმე.

...1954 წელს პირველად მოვხვდი იტალიაში. ტურნირის მერე მასპინძლებმა სადილად დაგვპატიჟეს და სპაგეტი მოგვართვეს. აბა ბაკურიანში დაბადებულ-გაზრდილ ცხვირმოუხოცავ ბიჭს საიდან უნდა მცოდნოდა რა იყო ეს შენი სპაგეტი?! მაშინ ჩვენთან ისეთი შავი და მაგარი მაკარონები იყო, ვინმესთვის თავში რომ ჩაგერტყა, გაუტეხავდი! მოკლედ, მოგვიტანეს სპაგეტი ხის ჯამებით და... ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ეს სპაგეტი სახეში სულ ტკაცა-ტკუცით მომხვდა! თურმე იქვე ფოტოგრაფებიც სადილობდნენ და მეორე დღეს რამდენიმე გაზეთში ჩემი ფოტო გამოქვეყნდა სპაგეტით პირში და არცთუ სასიამოვნო სათაურით... რამდენიმე დღეში სანკტ-მორიცში უნდა წავსულიყავით შეჯიბრებაზე, მაგრამ ნაკრების მწვრთნელებმა მითხრეს, შეფუთე ბარგი, მოსკოვში ბრუნდებიო. ვეხვეწე, ნუ იზამთ ამას გენაცვალე, ნუ დამჩაგრავთ-მეთქი, მაგრამ არაფერმა გაჭრა! მოსკოვში ჩასული აეროპორტიდან პირდაპირ სასტუმრო „მეტროპოლში“ მიმიყვანეს. იქ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორი თანამშრომელი დამხვდა, სასტუმროს პერსონალი კი ელდანაკრავივით გაჯგიმული იდგა — მათ ყველა მითითებას უსიტყვოდ ასრულებდა. ერთ-ერთ მაგიდასთან დამსვეს, ახლაც მახსოვს მისი ნომერი — 9. მაგიდაზე ყველაფერი გაკრიალებული ეწყო: თეფშები, ჩანგლები, დანები, კერძები... მოვიდა ვიღაც კაცი, გამიღიმა და მითხრა: „აბა, გლეხუჭავ, საქმეს შევუდგეთო“ და დაიწყო: ეს კოვზი ამისთვისაა, ეს — თევზისთვის, ეს — დესერტისთვის... მოკლედ, ორი დღე მასწავლიდნენ რა როგორ მეჭამა. მერეც, როცა ახალ ქვეყანაში მივდიოდი, მიმიყვანდნენ „მეტროპოლში“ და იგივე კაცი მასწავლიდა, როგორ მეჭამა ბაყაყი, ლოკოკინა და, რა ვიცი, რა აღარ!

...1955 წლის 31 იანვარს, საბჭოთა სპორტსმენთაგან პირველმა, ობერსტდორფში პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირი მოვიგე და იმ დღიდან მოყოლებული თითქმის 21 წელი საბჭოთა კავშირის ნაკრების უცვლელი ლიდერი ვიყავი!

...მას შემდეგ, რაც სისტემატურად მიწევდა უცხოეთში სიარული, გერმანული ენის შესწავლა დავიწყე. დამიბარეს შესაბამის ორგანოებში და წინ დამიდეს ჩემს შესახებ მოგროვილი მასალები, ზოგად დახასიათებაში კი რუსულად ეწერა — „უცხო ენებს სწავლობსო“. თითქოს ეს ნაკლი იყო! რომ გავეცანი იმ მასალებს, ვიკითხე, რა გინდათ-მეთქი? დამიდეს სუფთა ფურცელი, კალამი და დამაწერინეს: „მე, კობა ვარდენის ძე წაქაძე, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქე, ტრამპლინიდან მხტომელთა ნაკრები გუნდის წევრი, რომელიც ხშირად ვმოგზაურობ უცხოეთში, პირობას ვდებ, რომ უცხოელი ჟურნალისტების კითხვებს თარჯიმნის გარეშე არასდროს ვუპასუხებ“. ამ „ფიცს“ ხელიც მოვაწერე!

...უცნაურია, მაგრამ საერთაშორისო ტურნირებზე გულშემატკივრებისთვის ავტოგრაფის მიცემა აკრძალული მქონდა! ამის სანაცვლოდ ჩემს ფოტოებს ვარიგებდი, რომელზეც ჩემივე ავტოგრაფი იყო დატანილი — უცხოეთში ყველა გასვლის წინ მაძლევდნენ რამდენიმე ასეულ ბარათს და მეც ამით „ვაკმაყოფილებდი“ ხალხის თხოვნას.

### სადარბაზო ბარათი

**კობა წაქაძე დაიბადა 1934 წლის 19 აგვისტოს.**

**ტიტულები: საბჭოთა კავშირის ჩემპიონი — 1953, 1956, 1960, 1962, 1969, 1972; საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი — 1968, 1970, 1972; საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი — 1961; ზამთრის ოლიმპიური თამაშების მონაწილე — კორტინა დ’ამპეცო (იტალია; 1956) — XXX ადგილი (70-მეტრიან ტრამპლინზე); სკვო-ველი (აშშ; 1960) — IX (70მ); ინსბრუკი (ავსტრია; 1964) — XXVII (90მ); საპორო (იაპონია; 1972) — IX (70მ), XXXV (90მ).**

**სულ კარიერაში 54 შეჯიბრება მოიგო.**

**მისმა ვაჟმა კახა წაქაძემ (ასევე ტრამპლინიდან მხტომელმა), რომელმაც 90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი და თასი მოიგო, დამოუკიდებელი საქართველოს სახელით ზამთრის სამ ოლიმპიადაზე დაიცვა სამშობლოს სპორტული ღირსება.**

**სპორტის დამსახურებული ოსტატი,**

**ღირსების ორდენის კავალერი,**

**ერთადერთი ქართველი, რომელმაც ზამთრის ოთხ ოლიმპიადაზე იასპარეზა.**

...საპრიზო თანხა? ავსტრიაში, იტალიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში და ამერიკაში ხშირად მაჯილდოებდნენ ფულით, მაგრამ მისი მიღების უფლება არ მქონდა. თანხა საკავშირო სპორტკომიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა და მის გარკვეულ ნაწილს მანეთებში მაძლევდნენ. შეიძლება არ იცით, მაგრამ სხვადასხვა ტურნირზე 3-ჯერ მოვიგე ავტომობილი, თუმცა, ერთიც არ ჩამომიყვანია — საბჭოთა მოქალაქეს კაპიტალისტური ქვეყნის ნაწარმი არ სჭირდებოდა! აი, ასეთი მიდგომა იყო მაშინ...

...50-იანი წლების მიწურულს პირველად წავედი ამერიკაში. იმის გათვალისწინებით, რომ მარტოს მიწევდა გამგზავრება, უშიშროებაში დამიბარეს და „აღმზრდელობითი ლექცია“ წამიკითხეს. მახსოვს, რომელიღაც მაღალჩინოსანმა მთელი ჩემი საგვარეულოს სია გამაცნო და დასძინა: „უკან რომ დაბრუნდები, დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთო“. მხოლოდ ის ვითხოვე, ეგ ფურცელი მეც მომეცით, ხომ უნდა ვიცოდე ამდენი ნათესავი რომ მყავს-მეთქი.

...ერთხელ, მორიგი გამარჯვების შემდეგ, დამიძახეს იქ, „ზევით“ და მითხრეს: ავტომობილი უნდა გადმოგცეთ და აირჩიე, რომელი გინდაო — ზიმი, გაზ-21 თუ „პობედო“. ვუთხარი, არცერთი არ მინდა გენაცვალე, „კოლხოზნიკი“ მომეცით-მეთქი. „ეგ მანქანა სამხედრო დანიშნულებისაა, არ იყიდება, მაგრამ მოვიფიქრებთო“, — მითხრეს და ცოტა ხანში მართლაც მომიყვანეს ახალთახალი „კოლხოზნიკი“.

...ნაკრების ხელმძღვანელობა ითხოვდა, რომ რაც შეიძლება ხშირად ჩავსულიყავი მოსკოვში შეკრებებზე, მე კი, მიუხედავად იმისა, რომ სასტუმრო „მეტროპოლში“ ნომერი დაჯავშნილი მქონდა, გული მაინც ბაკურიანისკენ მომიწევდა: ხან შეშა იყო დასაჩეხი, ხან თივა მოსამარაგებელი, ეგეც არ იყოს, ჩემები მენატრებოდნენ... ბაკურიანში მხოლოდ 1-დან 25 მაისამდე მიშვებდნენ, დანარჩენ დროს გუნდთან ერთად ვატარებდი. რაც შეეხება ოჯახის საქმეს, რაიონის კოლმეურნეობა აგვარებდა ყველა საკითხს. ეგ კი არა, დედაჩემს სპეციალურად ურიგოდ დაუდგეს ტელეფონი, რომ ხშირად გვესაუბრა. ვიცოდი, რომ ჩვენი ტელეფონი ისმინებოდა და ამიტომ ძირითადად იმაზე ვლაპარაკობდით, თუ რას ვჭამდი და ვსვამდი.

...ერთხელ მოსკოვში ვარ და საქართველოში გამომგზავრებას ველი. აეროპორტში საშინელება ხდება: რიგი, ჩოჩქოლი, ზღვა ხალხი დგას მოსაცდელში! ამ დროს მატარებდნენ, გვითხარი, რაზე ისაუბრეთო. ისე, ის კოსტუმი კი მაჩუქეს.

...საუკეთესო წელი? როგორ გითხრათ, 1962 წელი, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო — მაშინ მსოფლიო ჩემპიონატზე მეხუთე ადგილზე გავედი, ბაკურიანში კი დიდი შეჯიბრება მოვიგე! ქართველი გულშემატკივრების წინაშე იშვიათად გამოვდიოდი და მაშინ ჩვენ ტურნირს 20 ათასი გულშემატკივარი დაესწრო!

...ზედიზედ სამი ოლიმპიადის შემდეგ ძალიან მინდოდა გრენობლში გამგზავრება, კარგ ფორმაშიც ვიყავი, მაგრამ გუნდს მიღმა დამტოვეს — ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ გრიგასმა არ მაპატია, რომ ანკეტაში პირად მწვრთნელად მის ნაცვლად პაველ დემენტიევი ჩავწერე. დაბრუნდა თუ არა გუნდი გრენობლიდან, გრიგასი გაუშვეს...

...ერთხელ პოლონეთში ვარ და ვიღაც კაცი მომიახლოვდა, მომესალმა, ხელი ჩამომართვა და ალტაცებულმა მითხრა: „პან წაქაძე, კრაკოვის უნივერსიტეტში ლექციებს ვაცდენდი ხოლმე იმისთვის, რომ თქვენი ნახტომები მენახაო“! ვიფიქრე, გულშემატკივარია-მეთქი და მადლობა გადავუხადე, მაგრამ რომ გამშორდა, დელეგაციის ხელმძღვანელმა მითხრა, ეგ კაცი პოლონეთის პრეზიდენტი ალექსანდრე კვასნევსკიაო.

...საერთოდ, უამრავ პოლიტიკოსს შევხვედრივარ და ამ მხრივ ნამდვილად ბევრი მაქვს მოსაგონარი. რომელი ერთი ჩამოვთვალო? ნიკიტა ხრუშჩოვზე, ლეონიდ ბრეჟნევზე და საქართველოს პირველ მდივნებზე რომ არაფერი ვთქვა, ნორვეგიის მეფესთან, ფინეთის პრეზიდენტთან, კანადის პრემიერ-მინისტრთან, იუგოსლავიის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და ჩეხოსლოვაკიის პირველ პირებთან, აშშ-ს პრეზიდენტთან მიღებაზე ვყოფილვარ... მათგან მიღებულ სუვენირებს შინ, ჩემსავე მუზეუმში ვინახავ.

...კარიერა 1972 წელს, 38 წლისამ დავასრულე. ერთ მშვენიერ დღეს შინ დაბრუნებულმა თხილამური კედელს მივაყუდე და მივხვდი, რომ საკმარისი იყო. ასე დასრულდა ყველაფერი.

...ჩვენ დროს სპორტის ეს სახეობა ძალიან სახიფათო იყო, არც სპორტსმენთა დაღუპვა იყო იშვიათი, თუმცა ასეთ ფაქტებს საბჭოთა კავშირში ასაიდუმლოებდნენ. ახლა მონაწილეთა უსაფრთხოება უმაღლეს დონეზეა აყვანილი. შედარებისთვის გეტყვით: როცა კარიერას ვიწყებდი, ჩაფხუტს და



ჩამოიარა საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ, თავის დაკვრით მომესალმა და გზა განაგრძო. ცოტა ხანში ჩემთან მისი თანმხლები პირები მოვიდნენ, თხილამურები და ბარგი ჩამომართვეს და თვითმფრინავისკენ გამიძღვნენ. თბილისამდე მჟავანაძესთან ერთად ვიფრინე, აეროპორტში კი ვასილ პავლოვიჩის „ჩაიკა“ დამახვედრეს და ბაკურიანში გამომაცილეს. დღემდე არ ვიცი, როგორ მივიდა სახლში ის კაი კაცი...

...1961 წელს გერმანიაში, გარმიშ-პარტენკირხენში მსოფლიო თასის ეტაპი მოვიგე. ტურნირის შემდეგ მაცნობეს, ადენაუერმა პირადად მიგიპატიჟაო! ხომ გახსოვთ, კონრად ადენაუერი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ გერმანიის კანცლერი გახლდათ. მან მარტო მიმიღო, სპეციალურად გამომიგზავნა მერსედესი, მე კი, სანამ მიღებაზე წავიდოდი, ახალთახალ კოსტუმში გამომაწყვეს. მერე, მოსკოვში რომ დავბრუნდი, ერთი კვირა დაკითხვაზე დაკომბინეზონს ვინ ჩივის, უქუდოდ, უსათვალოდ, შალის ჯემპრით და სპორტული შარვლით ვხტებოდით-ხოლმე! ჩემ დროს თხილამურის წონა 12 კილოგრამს აჭარბებდა, ახლა 6-7-ია...

...სპორტიდან წასვლის შემდეგ უსაქმოდ არ ვყოფილვარ: სანამ ასაკი ხელს მიწყობდა, საერთაშორისო ფედერაციის მიწვევით ხშირად დავდიოდი ტურნირებზე მსაჯად — ორ ოლიმპიადაზე და მსოფლიოს ორ ჩემპიონატზე ვიმუშავე, მერე და მერე კი საპატიო სტუმრად მიწვევდნენ.

...რატომ არ დავრჩი უცხოეთში? როგორ გითხრათ, არასდროს მქონია ამის სურვილი — ჩემი ბაკურიანი ყოველთვის ყველაფერს მერჩივნა! ეგეც არ იყოს, აქ იმდენი მაქვს დათესილი, სადმე ქუჩაში რომ წავიქცე, ყველამ იცის სადაა ჩემი სახლი და მიმიყვანენ. როცა ასეთი სიყვარულია, რა ჯანდაბა მინდა უცხოეთში?

**ლაშა გოდუაძე**

**ნანძინი — 2014**

# თამაზ კირაკოზაშვილი ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონია!



**საქართველოს დელეგაციამ ჩინურ ნანძინში მიმდინარე მსოფლიოს მეორე ახალგაზრდულ ოლიმპიადაზე პირველი მედალი მოიპოვა: ძიუდოისტმა თამაზ კირაკოზაშვილმა 81 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა და ვერცხლს დაეუფლა!**

პირველ წრეში კირაკოზაშვილი, რომელიც ოლიმპიური გუნდის მედროშე იყო გახსნის ცერემონიალზე, ისვენებდა, მეორე ეტაპზე კი ისრაელის წარმომადგენელი იდან ვარდი დაამარცხა. 1/4-ფინალში მან ავსტრიელ მარკო ბუბანიას აჯობა, ფინალის საგზური კი ჰოლანდიელ ფრანკ დე ვიტთან გამარჯვებით მოიპოვა. ოქროს მედლისთვის ბრძოლაში კირაკოზაშვილი რუს მიხაილ იგოლნიკოვთან დამარცხდა.

სამწუხაროდ, მედლამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა ჩვენი გუნდის მეორე ძიუდოისტს, 52კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე მარიამ ჯანაშვილს — III ადგილისთვის პაექრობა მან კორეელ ლი ჰეიკონგთან დათმო. მანამდე მარიამმა მადაგასკარელი მიჰანტა სანდრინა ანდრიამიფეჱ და პუერტორიკოელი პაოლა აზევედუ დაამარცხა, 1/2-ფინალში კი თავად წააგო მომავალ ჩემპიონთან, ბრაზილიელ ლაიანა კოლმანთან.

უკვე დაასრულა ოლიმპიადაზე გამოსვლა მოფარიკავე ნიკოლოზ შენგელიამაც. ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლას ის 1/4-ფინალში გამოეთიშა — რუს ივან ილინთან 8:15 დამარცხდა.

**კობა კობახიძე**

**კალათბურთი**

# ჟამი განწმენდისა

**საქართველოს საკალათბურთო ნაკრები ჩეხეთშია. იგორ კოკოშკოვის გუნდი პრაღაში პორტუდან ფრანკფურტის გავლით ჩაფრინდა, საიდანაც ქალაქი ნიმბურკი დაახლოებით 1 საათის სავალზეა.**



ნიმბურკი ძალიან პატარა, მყუდრო და ისტორიული ქალაქია. აქ მინერალური წყლები და შესანიშნავი ბუნებაა. ქალაქში არაერთი სანატორიუმია, სადაც დამსვენებლები სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ ანაც უბრალოდ დასასვენებლად ჩადიან.

საქართველოს ნაკრების კალათბურთელებმაც დაისვენეს. მგზავრობამ ხანგრძლივი დრო წაიღო, დილის 8 საათზე პორტუდან გასული ქართველები ნიმბურკში 18 საათისთვის ჩავიდნენ, სადაც გუნდის წევრებმა ივახშმეს და დაისვენეს.

გუშინ საქართველოს ნაკრებმა ორჯერ ივარჯიშა, უშუალოდ შესარჩევი მატჩი კი დღეს თბილისის დროით 20 საათზე დაიწყება (მის ტელერეპორტაჟს პირველი არხი შემოგვთავაზებს).

შეგახსენებთ, რომ პორტუგალიაში საქართველოს ნაკრებმა არსებობის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული მატჩი ჩაატარა. ის, რომ თამაში დამატებით დროში გადავიდა, ბევრ რამეზე მიუთითებს. ამასთან, ქართველებმა პირველი ნახევარი 19 ქულით წააგეს, მეორე პერიოდის შუაწელში კი სულაც 23 ქულით ჩამორჩებოდნენ.

ასეთ დიდი დეფიციტი საქართველოს ნაკრებს არასდროს აღმოუფხვრია. დიდი მობილიზების, ბრძოლისა და შეუპოვრობის ხარჯზე ქართველებმა თამაშის შემობრუნება მოახერხეს და ოვერტაიმში მასპინძლები 91:90 დაამარცხეს.

ეს მატჩი, ალბათ, დიდი ხანი ემახსოვრებათ ქართველ გულშემატკივრებს, მათ შორის პორტუგალიაში საქართველოს ელჩს გიორგი გორგილაძეს, რომელიც ავეიროში გამართულ შეხვედრას დაესწრო, ინერვიულა და ბოლოს ქართველებს გამარჯვება მიულოცა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**ფეხბურთი**

# ფიფას რეკომენდაცია რუსეთს

**რუსეთის სპორტის მინისტრმა ვიტალი მუტკომ ფიფას პრეზიდენტის იოზეფ ბლატერის შეთავაზება საჯარო გახადა. მოგეხსენებათ, 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატს ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები უმასპინძლებენ. ფიფამ რუსეთს რეკომენდაციით მიმართა, რომლის თანახმადაც რუსეთმა ტურნირი 9 ქალაქის ათ სტადიონზე უნდა მოაწყოს.**

რუსეთის იდეის თანახმად, მუნდიალი 11 ქალაქის 12 სტადიონზე უნდა გამართულიყო, თუმცა ფიფამ მასპინძელ ქვეყანას როგორც სტადიონის, აგრეთვე ქალაქის შემცირება მოსთხოვა. აგრეთვე ცნობილი ხდება, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები მოსკოვის ორ სტადიონზე ჩატარდება.

„ჩვენი კონცეფცია არ შეგვიცვლია 12 სტადიონის და 11 ქალაქის შესახებ. უბრალოდ ფიფამ რეკომენდაციით მოგვმართა. ამ კვირაში დელეგაცია ყველა მასპინძელ ქალაქს მოინახულებს, ხვალ კი სარანსკს ვეწვევით“ — განაცხადა მუტკომ.




2018 წლის მუნდიალის მასპინძელი ქალაქების სია შემდეგნაირად გამოიყურება: მოსკოვი, სანკტ-პეტერბურგი, კალინინგრადი, ნიჟნი ნოვგოროდი, სარანსკი, ყაზანი, ეკატერინბურგი, სამარა, როსტოვი, ვოლგოგრადი, სოჭი.

აღნიშნული ქალაქებიდან მასპინძლობის უფლება ალბათ, ორს ჩამოერთმევა.

**გიორგი შოთაძე**

ეს წინდახედული პოლიტიკაა

# საქართველო დასავლეთს და რუსეთს შორის დაპირისპირების ფონზე

**დასავლეთს და რუსეთს შორის დაძაბულობა დღითი დღე იზრდება. ამ ფონზე საქართველო ანტირუსული რიტორიკისგან თავს იკავებს და რუსეთთან ერთგვარი დათბობის პოლიტიკას აგრძელებს. რამდენად სწორია ასეთი მიდგომა?**

უკრაინის საზღვართან რუსეთმა სამხედრო წვრთნები გამართა. ნატოს მონაცემებით, იქ სულ მცირე 20 ათასი რუსი ჯარისკაცია თავმოყრილი. დასავლეთი შიშობს, რომ მოსკოვი ომისთვის ემზადება. უკრაინის საზღვრის მახლობლად, ოღონდ ამჯერად პოლონეთის ტერიტორიაზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წვრთნები გაიმართა.




ურთიერთობა თეთრ სახლს და კრემლს შორის თანდათან მწვავდება. ბევრი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ მოსკოვთან ასეთი დაძაბულობა 1962 წლის კუბის კრიზისის შემდეგ არ ყოფილა. აშკარაა, რომ უკრაინაში ვაშინგტონის ე.წ. სამშვიდობო მისიის ალარავის სჯერა. თეთრი სახლის სპიკერმა ჯოშ ერნესტმა ამის შესახებ დაუფარავად განაცხადა. **„რუსეთს „სამშვიდობო მისიით" უკანონო სამხედრო ინტერვენციის და ოკუპაციის შენიღბვის ცნობილი გამოცდილება აქვს",** — აღნიშნა მან.

ნატოს გენერალური მდივანი **ანდერს ფოგ რასმუსენი** მოსკოვს უკანდახევისკენ მოუწოდებს: **„მოვუწოდებ რუსეთს, უფსკრულს მოცილდეს და საზღვრიდან უკან დაიხიოს. ნუ გამოიყენებთ სამშვიდობო მისიას ომის წარმოების საბაბად",** — აცხადებს ის.

არაერთი გაფრთხილების მიუხედავად რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი, უკრაინაში ჰუმანიტარული მისიის საბაბით, 280 საბარგო მანქანისგან შემდგარ კოლონას აგზავნის. თუმცა, მას დასავლეთში ნდობის მანდატი უკვე ამოწურული აქვს. რუსულ კოლონას ხშირად ტროას ცხენს ადარებენ და კიევს სიფრთხილისკენ მოუწოდებენ.

შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი ნატოში **კურტ უოკერი** ამბობს, რომ საქართველოს გამოცდილების გათვალისწინებით, კრემლი უკრაინაში ტაქტიკას ცვლის: **„რუსეთმა საქართველოში გაკვეთილი ისწავლა. უკრაინაში ჯარების დაუფარავად შეყვანის მომსწრე აღარ გავხდებით, იქ უფრო მეტად ფარული ოპერაციები მიმდინარეობს",** —აღნიშნავს ის.

2008 წლის აგვისტოში საქართველოში განხორციელებული ღია აგრესიის მიუხედავად, დასავლეთს რუსეთის მიმართ ასეთი მწვავე რეაქცია მაშინ არ ჰქონია. **მაიკლ ჩეჩირეს,** საგარეო ურთიერთობათა კვლევითი ცენტრის ანალიტიკოსის, აზრით, ამ შემთხვევაში საუბარი რამდენიმე ფაქტორზე შეიძლება.

**„მტკიცე რეალობა, რომელსაც, სამწუხაროდ, ვერ გავექცევით, არის გეოგრაფია. საქართველო საკმაოდ შორს არის ამერიკის და ევროპისგან. მაშინ, როცა უკრაინა უფრო ევროპის ნაწილად აღიქმება... შემდეგ: უკრაინა გაცილებით დიდი ქვეყანაა, ბევრად უფრო ძლიერი არმიით... ამას გარდა, ევროპაში, ამერიკასა თუ მთელ მსოფლიოში ბევრი ფიქრობს, რომ კონფლიქტის ესკალაციაში ექსპრეზიდენტ სააკაშვილის ტემპერამენტმა თუ ზედმეტმა აგრესიამ და ანტირუსულმა რიტორიკამაც შეასრულა გარკვეული როლი" ,** — ამბობს მკვლევარი.

**— უახლესი ისტორიის მძიმე კვალის და მოსკოვთან დასავლეთის ღია დაპირისპირების ფონზე, საქართველო ამ ეტაპზე ანტირუსული რიტორიკისგან თავს იკავებს და რუსეთთან ერთგვარი „გადატვირთვის" პოლიტიკას აგრძელებს. რამდენად გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს ეს მიდგომა?**

**— „ვფიქრობ, ისეთი მცირე ზომის ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ეს წინდახედული პოლიტიკაა. ვერ ვხვდები, სხვა რა უნდა გააკეთოს... 2008 წლის რიტორიკამ დიდი შედეგი ვერ გამოიღო. ერთადერთი, რა შედეგიც მაშინ მივიღეთ, იყო ის, რომ რუსეთის აგრესია გაიზარდა და მათ ძალადობის პროვოცირების მეტი საბაბი მიეცათ. ბევრი მცირე ზომის ქვეყანაა აღმოსავლეთ ევროპაში, რომლებიც ანტირუსულ პოლიტიკას მიმართავენ, მაგრამ ისინი ევროკავშირის და ნატოს წევრები არიან და მათ უსაფრთხოების ისეთი გარანტიები აქვთ, როგორიც საქართველოს ელემენტარულად არ გააჩნია... ამიტომ ეს გონივრულ პოლიტიკად მიმაჩნია",** — აღნიშნავს მაიკლ ჩეჩირე.

ექსპერტები კრემლის შემდგომი ნაბიჯების პროგნოზირებისგან თავს იკავებენ. რუსეთის სპეციალისტის, ჰადსონის ინსტიტუტის მკვლევარის დევიდ სატერის აზრით, რომელსაც სკაიპის მეშვეობით დავუკავშირდით, პუტინის ხელისუფლებას ამ ეტაპზე მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნება აინტერესებს.

**„ეს არის საგარეო პოლიტიკის მქონე ბანდა. ასე შეიძლება უფრო ზუსტად მათი დახასიათება. მათ ძალაუფლების შენარჩუნების მიღმა, სხვა არანაირი სტრატეგიული ხედვა არ გააჩნიათ",** — ამბობს ის.

იმაზე, თუ რა მოხდება უკრაინაში, დიდად არის დამოკიდებული საქართველოს მომავალიც. ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ის, რომ უკრაინის საზღვარზე რუსული ძალების დიდი კონცენტრაციაა და რომ თეთრი სახლის ადმინისტრაციის განცხადებით, საუბარია „საკმაოდ უნარიან და სრულ მზადყოფნაში" მყოფ ძალებზე.

**მაია ქვარცხავა,**
„ამერიკის ხმის" პუბლიკაცია, VOA-Georgian
რადიო „თავისუფლება"

ალიანჩალიანი

## ბიუჯეტის თანხებს თაღლითურად ისაკუთრებდნენ

**ფინანსთა** სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხის მოტყუებით დაუფლების ფაქტზე, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში 18 მოქალაქე მისცა.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, პასუხისგებაში მიცემული პირები არიან საქართველოს ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტის, „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის" მონაწილეები.

„ნაცვლად იმისა, რომ ბრალდებულებს ბენეფიციარებზე გაცემული აგრო-ბარათების გამოყენებით, მიეწოდებინათ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონელი, გარკვეული თანხის სანაცვლოდ სისტემატიურად იბარებდნენ სასოფლო-სამეურნეო საქონლის შეძენის დანიშნულების მქონე აგრო-ბარათებს და ახდენდნენ მათზე დარიცხული ქულების ჩამოჭრას, ხოლო შემდგომში ვითომდა გაწეული დანახარჯების სანაცვლოდ, თაღლითურად სახელმწიფოსგან იღებდნენ გადახდილ თანხაზე მეტ შემოსავალს, რითაც ახდენდნენ ზემო აღნიშნული პროგრამით გამოყოფილი თანხების მნიშვნელოვანი ნაწილის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებას.

საგამოძიებო სამსახური აგრძელებს საგამოძიებო მოქმედებებს, დანაშაულებრივ სქემაში მონაწილე სხვა პირების გამოვლენა-იდენტიფიცირების მიზნით.

## შსს-მ ბულგარეთის სამი მოქალაქე დააკავა

შსს-ს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი ქურდობისა და კომპიუტერული მონაცემების უკანონოდ გამოყენების ბრალდებით ბულგარეთის სამი მოქალაქე დააკავეს.



შსს-ს ინფორმაციით, დაკავებულია 1976 წელს დაბადებული ხრისტო ხ, 1990 წელს დაბადებული ილიან გ. და 1981 წელს დაბადებული ვერონიკა ვ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა აგვისტოს დასაწყისში, ქალაქ ბათუმში მდებარე სხვადასხვა ბანკის 5 ბანკომატზე დაამონტაჟეს პლასტიკური ბარათების მონაცემთა უკანონოდ მოპოვება-შენახვისთვის განკუთვნილი სპეციალური მოწყობილობა — ე.წ. „სკიმერი", რომლის საშუალებითაც, თანხების მითვისების მიზნით, სხვისი პლასტიკური ბარათებიდან მონაცემების უკანონოდ მოპოვებას ცდილობდნენ. აღნიშნული მეთოდით ბრალდებულებმა რამდენიმე მოქალაქის კუთვნილი 1100 ლარი მიითვისეს.

სამართალდამცველებმა, ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბანკომატის ეკრანზე დამაგრებული ვიდეო-აუდიო სათვალთვალო და პლასტიკური ბარათის ჩასადებ ჭრილზე მოთავსებული ინფორმაციის წამკითხავი მოწყობილობები აღმოაჩინეს და ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებულები აღიარებენ ჩადენილ დანაშაულს.

ინტერპრესი

## დედამიწის ზურგზე



### ისლანდიის ვულკანი ბარდარბუნგა ახალი ავიაკოლაფსით იმუქრება - გამოცხადებულია მორიგი, „ნარინჯისფერი" საფრთხის დონე

სეისმოლოგები ვულკანის აქტივობას აღნიშნავენ 16 აგვისტოდან. 18 აგვისტოს ღამით ხელსაწყოებმა დააფიქსირეს მიწისქვეშა ბიძგების სერია. ვულკანის ამორფქვევის საფრთხის გამო გადაკეტეს ავტოტრასები ისლანდიის სამხრეთში და დააგზავნეს გაფრთხილება ავიაკომპანიების მისამართით. 2010 წელს ვულკან ეიაფიადლაიოკიუდლის ამოფრქვევამ თითქმის ორი კვირის განმავლობაში მოახდინა ევროპასა და ჩრდილოეთ ატლანტიკაში ავიამიმოსვლის პარალიზება.

### უცნობმა საბრძოლო თვითმფრინავებმა ლიბიის დედაქალაქს ავიადარტყმები მიაყენეს

